# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ქრთამით ხალხის გაცემა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 27 მაისი. 2024 წ. №61-62 (9741-9742) ელ.ფოსტა: sak@sak.ge ფასი 1 ლარი


# ამერიკისა და ევროპის „საგრანტო კორუფციის“ მღვრიე წყალი გვახრჩობს,

## ამიტომაც დანიის სამეფოში ყველაფერი დალპა... მაისის წვიმებმა კი მსოფლიო რეალური წარღვნის პირისპირ დააყენა!...

ფრანგ სალომეს ნაპოლეონისა და ჰიტლერის ომების ისტორიაც არ სცოდნია!





3

მრავალმხრივი ღალატის მიუხედავად, მშვიდობა შევინარჩუნეთ!



ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, გავერთიანდეთ საქართველოსთვის!



6

მტკიცედ მწამს, ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს!



რატომ უბიძგებენ ამ ბავშვებს ასეთი მძიმე დანაშაულისკენ?!



7

## გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს

### საქართველოს მასშტაბით რეკრუტებმა ფიცი დადეს!

საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის რეკრუტებმა საზეიმოდ სამხედრო ფიცი დადეს. ფიცის დადების ცერემონია თბილისსა და კიდევ ხუთ რეგიონში ერთდროულად ჩატარდა – მცხეთაში (სამთავროს მონასტერი), დიდგორი, ბეთანიის მონასტერი, სტეფანწმინდა (გერგეთის სამება) და იმერეთი (კაცხის სვეტი).

26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობის დღე იზეიმა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ზუსტად 106 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს მიიღო.





## ტრაგიკული კვირის კომედიები!

4

# მღვრიე წყალი გვახრჩობს!



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ რამდენიმე დღის წინ პირველი არხის გადაცემაში „გადაწყვეტილება“ დეტალურად ისაუბრა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონზე. მთავრობის მეთაურმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც შეაფასა და აღნიშნა, რომ 2022 წლის დასაწყისიდან საქართველოს მიმართ იყო სერიოზული ინტერესი, რომ აქ გახსნილიყო მეორე ფრონტი.**

ჩვენს გონიერ და ერთგულ მკითხველს ვთხოვთ, გულდასმით წაიკითხოს პრემიერის ეს შეფასება და საკუთარი აზრი გამოხატოს ამავე გაზეთის ფურცლებზე.

— **გამჭვირვალობა** ბევრ რამეს დააზღვევს, გაუჭირდებათ, ღიად უცხოური დაფინანსებით გააგრძელონ, მაგალითად, ეკლესიაზე თავდასხმა ან აწარმოონ ლგბტ პროპაგანდა და ა.შ. ამიტომ ეშინიათ ვიღაცებს გამჭვირვალობის, რომ მოუწევთ კონკრეტულ არასწორ პრაქტიკაზე უარის თქმა.

— **გაუმჭვირვალობა** იყო ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რომელმაც კონკრეტულ სუბიექტებს შეაძლებინა, ორჯერ ეცადათ რევოლუციის მოწყობა ამ ქვეყანაში. როცა ამის შემდეგაც იბრძვი გამჭვირვალობის წინააღმდეგ, შეგვიძლია გამოვიტანოთ ლოგიკური დასკვნა, რომ ვიღაცებს უნდათ, კიდევ ერთხელ სცადონ რევოლუციების მოწყობა ამ ქვეყანაში. რაც უბრალოდ არასწორია. ეს არ არის სწორი, ჯანსაღი მიდგომა ჩვენი საზოგადოების და ქართული სახელმწიფოს მიმართ. არ შეიძლება ყოველწლიურად ქვეყანა ცხოვრობდეს ამ გაუთავებელი ე.წ. პოლარიზაციის რეჟიმში.

— **ჩვენს** ოპონენტებს არ აწყობდათ ჯანსაღი და ღია, გახსნილი დისკუსია კანონპროექტთან დაკავშირებით, როდესაც ამას აკეთებს პოლიტიკური ოპოზიცია ქვეყნის შიგნით, გასაგებია, მაგრამ, როცა იმავეს აკეთებენ უცხოელი პოლიტიკოსები, დიპლომატები, ეს აბსოლუტურად გაუგებარია.

— **არავითარი** სივრცე არ დატოვეს ჯანსაღი დისკუსიისთვის, პირველივე დღიდან გამჭვირვალობის კანონის გარშემო წარიმართა ირაციონალური კამპანია ყოველგვარი სიღრმისეული განხილვის გარეშე.

— **თუ** NGO-ები დაიწყებენ კეთილსინდისიერად მოქმედებას, შედეგი ამ კანონისა არის ერთადერთი ვებგვერდი, სადაც საქართველოს მოქალაქეს, ნებისმიერ ადამიანს, შეეძლება, შევიდეს და ნახოს ინფორმაცია, თუ ვინ დგას ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის უკან. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებენ არაკეთილსინდისიერად და არ შეაქვთ ინფორმაცია, საბოლოო ჯამში, მოუწევთ ჯარიმის გადახდა; მეორე კი არის ის, რომ იუსტიციის სამინისტრო მოიკვლევს ინფორმაციას ორგანიზაციასთან დაკავშირებით და თავად გაასაჯაროებს ინფორმაციას მხოლოდ და მხოლოდ ფინანსების თაობაზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე. ორგანიზაცია თუ უარს ამბობს, იუსტიციის სამინისტრომ თვითონ უნდა დაარეგისტრიროს, გარკვეული მექანიზმი უნდა არსებობდეს ამის. ინტიმურ ცხოვრებასა და მსგავს აბსურდებზე სერიოზული კომენტარის გაკეთებაც კი არ შეიძლება.

## ირაკლი კობახიძე:

## ჩვენ გვჭირდება ნამდვილი, ჭეშმარიტი, კლასიკური ლიბერალური ღირებულებები ამ ქვეყანაში, რაც გულისხმობს თავისუფლების სათანადოდ გააზრებას, ეს არის ილია ჭავჭავაძის ლიბერალიზმი

ერთადერთი, რაც გასაჯაროვდება, ეს არის **ინფორმაცია ფინანსებზე.**

— **ერთი** ევროპარლამენტარი რომ რაღაც ცუდს იტყოდა, ამაზეც კი სერიოზული მღელვარება იყო ჩვენ საზოგადოებაში. დღეს ისე იღებენ ევროპარლამენტის უსამართლო რეზოლუციებს, საერთოდ არავითარი რეაქცია აღარ აქვს საზოგადოებას. მოსამართლეებზე დააწესეს სანქციები და პრაქტიკულად ნულოვანი რეაქცია იყო. ამ კუთხითაც გაჯანსაღებულია ვითარება. საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა, პირველ რიგში, უყურებს, სად არის სიმართლე და მერე აქცევს ყურადღებას იმას, თუ ვინ რას ამბობს ამ სიმართლესთან დაკავშირებით. იგივე ეხება ვენეციის კომისიას.

— **უბრალოდ,** უხერხულობას ვგრძნობდი, როგორც იურისტი, როდესაც ამ დოკუმენტს ვკითხულობდი, იმდენად უსუსური იყო ის სახე, რომელიც აჩვენა ვენეციის კომისიამ ამ დოკუმენტით. არაფერი აქვთ სათქმელი და უბრალოდ არის სავსე **აბსურდული ჩანაწერებით** და, მათ შორის, **ტყუილებით.** უამრავი სიცრუე გხვდებათ თქვენ ვენეციის კომისიის დოკუმენტში და ამ სიცრუესთან ერთად არის სრულიად აბსურდული სამართლებრივი მსჯელობა ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, მაგრამ საზოგადოება უყურებს, საბოლოო



ჯამში, არა იმას, რა თქვა ვენეციის კომისიამ, არამედ იმას, სად არის სიმართლე და ეს არის ერთ-ერთი სერიოზული მიღწევა, რაც ჩვენ გვაქვს ამ ორი-სამი წლის განმავლობაში.

— **რასაც** კონკრეტული „ენჯეოშნიკები“ საქართველოში ამბობდნენ, იმავეს რომ კითხულობ ვენეციის კომისიის დასკვნაში, ეს ყველა ზღვარს სცდება, ეს ნიშნავს პროფესიულ ეთიკასა და ღირსებაზე უარის თქმას.

— **დღეს** ჩვენი ქვეყანა არის სუვერენული, როგორც არასდროს. ამაში, მათ შორის, იგულისხმება ის, რომ საზოგადოება უფრო მეტად აფასებს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. ანუ დამოუკიდებლობის ფასი დღეს უფრო მეტად აქვს გააზრებული ქართულ საზოგადოებას, ვიდრე ჰქონდა თუნდაც სამი-ოთხი წლის წინ.

— **ყველას** კარგად გვესმის, რომ „ენჯეოები“ არის ზოგადად პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება პოლიტიკური ინტერესებისა და მიზნების რეალიზებისთვის, აქედან გამომდინარე, სადაც საქმე გვაქვს პოლიტიკასთან, იქ საკუთარი ფინანსების გამჭვირვალობა არასდროს არავის უხარია.

— **ერთადერთი,** რაც უნდა გასაჯაროვდეს, ეს არის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია – შემოსავლები და ხარჯები, მეტი არაფერი. რასაც პოლიტიკური პარტიები უკვე აკეთებენ და არასდროს ეს არ გამხდარა არც პარტიების საქმიანობის შეფერხების მიზეზი, არც, მით უმეტეს, მათი დახურვის მიზეზი, ასეთი ტიპის აბსურდულ საკითხებზე გვიწევს ჩვენ მსჯელობა. წლების განმავლობაში პარტიები დეტალურად აქვეყნებენ, ბევრად უფრო დეტალურად, ვიდრე მოეთხოვებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საკუთარ შემოსავლებსა და გასავლებს, არასდროს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეფერხების თემა არ დამდგარა დღის წესრიგში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრად უფრო გამჭვირვალეა პარტიების საქმიანობა დღემდე, ვიდრე ამას ითვალისწინებს ახალი კანონი.

— **გაუმჭვირვალობამ** აცდუნა როგორც ორგანიზაცია, ასევე დონორი, რომ გაეყალბებინათ პარალელური დათვლის შედეგები, თუმცა, როგორც კი საზოგადოებისთვის გამჭვირვალე გავხადეთ ინფორმაცია დონორების თაობაზე, მათ შორის USIAD-ისა და NDI-ის თაობაზე, მაშინვე მოუწიათ უკან დახევა. საბოლოო ჯამში, პარალელური დათვლის მთავარი დანიშნულება რაც იყო, რიგგარეშე არჩევნების გამოწვევა, ეს ვეღარ მოხერხდა.

— **შენ** თუ უცხოური ძალის ინტერესს ატარებ და ეს ინტერესი აშკარად კეთილშობილურია, მაშინ რატომ ლაპარაკობ საერთოდ სტიგმატიზაციაზე? სწორედ იმის გამო, რომ ვიღაცებს სხვა რაღაცების შიში აქვთ, საუბრობენ სტიგმატიზაციაზე. საბოლოო ჯამში, არის შიშები იმასთან დაკავშირებით, რომ კეთილშობილურთან ერთად, გამოვლინდება უამრავი არაკეთილშობილური ამოცანა, რომელიც დგას ამ გრანტების უკან. სრული გაუმჭვირვალობის პირობებში სხვადასხვა წყაროდან მივიღეთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელი დონორები არაკეთილშობილურ ამოცანებს აფინანსებდნენ, მაგალითად, EED აფინანსებდა პარტია „დროას“.

— **საზოგადოებამ** თვალსაჩინოდ დაინახა, რომ ეს არის ერთი „ქვაბი,“ ერთი პოლიტიკური ძალა, რასაც ჰქვია კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ერთადერთი არა ამოცანა, არამედ დავალება არის, ხელოვნურად შეინარჩუნონ ეს ე.წ. პოლარიზაცია, რაც სინამდვილეში არის რადიკალიზმი ამ ქვეყანაში. მათი ერთადერთი დავალებაა, მუდმივი რადიკალიზმის ქვეშ აცხოვრონ ეს ქვეყანა, მუდმივად სცადონ რევოლუციების მოწყობა და სცადონ, საბოლოო ჯამში, ის, რომ დაიბრუნონ ძალაუფლება გარე დახმარებით. ამის წინააღმდეგ არის მიმართული სწორედ ის კანონი, რომელიც დაინიცირდა და მივიღეთ.

— **ჩვენ** შეგვიძლია, წავიდეთ სახლში, მარტივად. ვგულისხმობ ჩვენს პოლიტიკურ ძალას, მაგრამ შედეგი იქნება რა – ერთადერთი ალტერნატივა, რომელიც მოვა ხელისუფლებაში, ეს არის იგივე პოლიტი-

**— ჩვენ შეგვიძლია, წავიდეთ სახლში, მარტივად. ვგულისხმობ ჩვენს პოლიტიკურ ძალას, მაგრამ შედეგი იქნება რა — ერთადერთი ალტერნატივა, რომელიც მოვა ხელისუფლებაში, ეს არის იგივე პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყანას მართავდა 2004 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, ეს არის კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. გარანტირებული შედეგი ამ პოლიტიკური ძალის საქმიანობის, თან უახლოეს მომავალში, იქნება ამ ქვეყნის უკრაინიზაცია. მარტივად გადადგამენ იმ ნაბიჯებს, რასაც ჩვენგან ითხოვდნენ და ძალიან მოკლე ვადებში მიაღწევენ ამ ქვეყნის უკრაინიზაციას.**




# 26 მაისი – დამოუკიდებლობის დღესასწაული

**— ჩვენ გვჭირდება კლასიკური, ტრადიციული ღირებულებები ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვჭირდება იმის გააზრება, რომ უნდა იყოს ბოლომდე დაცული ჩვენი ქვეყნის ეროვნული იდენტობა, მათ შორის, უნდა იყოს დაცული, რა თქმა უნდა, მართლმადიდებელი ეკლესია, ქრისტიანული ღირებულებები ჩვენს ქვეყანაში. თუ ჩვენთან ქრისტიანული კულტურა მოიშალა, საქართველოს ევროპულობიდან საერთოდ არაფერი დარჩება. ამიტომ ამაზე მაქსიმალური ზრუნვა გვმართებს.**

კური ძალა, რომელიც ქვეყანას მართავდა 2004 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, ეს არის კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. გარანტირებული შედეგი ამ პოლიტიკური ძალის საქმიანობის, თან უახლოეს მომავალში, იქნება ამ ქვეყნის უკრაინიზაცია. მარტივად გადადგამენ იმ ნაბიჯებს, რასაც ჩვენგან ითხოვდნენ და ძალიან მოკლე ვადებში მიაღწევენ ამ ქვეყნის უკრაინიზაციას.

— **საბედნიეროდ,** ფსევდოლიბერალური იდეოლოგია არ არის წარმატებული საქართველოში, საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ მიჰყვება ამ იდეოლოგიას, თუმცა ტენდენციები არის, რა თქმა უნდა, ძალიან საშიში. ჩვენ გვჭირდება ნამდვილი, ჭეშმარიტი, კლასიკური ლიბერალური ღირებულებები ამ ქვეყანაში, რაც გულისხმობს თავისუფლების სათანადოდ გააზრებას, ეს არის ილია ჭავჭავაძის ლიბერალიზმი.

— **ჩვენ** გვჭირდება კლასიკური, ტრადიციული ღირებულებები ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვჭირდება იმის გააზრება, რომ უნდა იყოს ბოლომდე დაცული ჩვენი ქვეყნის ეროვნული იდენტობა, მათ შორის, უნდა იყოს დაცული, რა თქმა უნდა, მართლმადიდებელი ეკლესია, ქრისტიანული ღირებულებები ჩვენს ქვეყანაში. თუ ჩვენთან ქრისტიანული კულტურა მოიშალა, საქართველოს ევროპულობიდან საერთოდ არაფერი დარჩება. ამიტომ ამაზე მაქსიმალური ზრუნვა გვმართებს.

— **შეუძლებელია,** ტრადიციების პატივისცემა და ფსევდოლიბერალიზმი ერთმანეთთან დააბალანსო. თუ სადმე შეუძლებელია ბალანსი, სწორედ ეს ორი მოვლენაა.

— **ჩვენ** გვინდა გამჭვირვალობა და ვიღაცებს უნდათ მღვრიე წყალი ამ ქვეყანაში იმისათვის, რომ დაიჭირონ თევზი და ეს თევზი რაში გამოიხატა უკრაინის მაგალითზე, ძალიან კარგად ვნახეთ. ჩვენ არ გვინდა, დავტოვოთ მღვრიე წყალი ამ ქვეყანაში, იმიტომ, რომ ძალიან მძიმე შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს „ქართულმა მაიდანმა“ ჩვენი ქვეყანა, ეს არის ჩვეულებრივად ქვეყნის „უკრაინიზაცია“. ამაზე ვერ ვთანხმდებით. ვიღაცებს უნდათ აქ მღვრიე წყალი, ჩვენ არ გვინდა, ვიღაცებს უნდათ აქ „მაიდანი“, ჩვენ არ გვინდა მაიდანი. ვიღაცებს უნდათ მეორე ფრონტი, ჩვენ არ გვინდა. ეს არის შეუთანხმებლობის მთავარი მიზეზი. ამიტომ არ არის აქ სივრცე დისკუსიისთვის.

— **2022** წლის დასაწყისიდან საქართველოს მიმართ იყო სერიოზული ინტერესი, რომ აქ გახსნილიყო მეორე ფრონტი, რაც სერიოზულად დააზიანებდა რუსეთის პოზიციებს, ორ ფრონტზე ბრძოლა არ იქნებოდა მარტივი რუსეთისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი გაანადგურებდა ჩვენს ქვეყანას. ვიღაცებს არ ადარდებდათ ჩვენი ქვეყნის ბედი. ერთადერთი, რაც აინტერესებდათ, იყო რუსეთის პოზიციების შესუსტება!..

## ფრანგ სალომეს ნაპოლეონისა და ჰიტლერის ომების ისტორიაც არ სცოდნია!

### დღევანდელ საქართველოს ვერავინ აიძულებს, ხელახლა იცხოვროს სხვისი მრწამსით, დოგმებითა და ბორკილებით

**„დღევანდელ** საქართველოს ვერავინ აიძულებს, ხელახლა იცხოვროს სხვისი მრწამსით, სხვისი დოგმებითა და ბორკილებით; სწორედ ამიტომ მტკიცედ მწამს – საქართველოს ვერავინ და ვერასოდეს დააბრუნებს წარსულში. მჯერა და მინდა, თქვენც დაგარწმუნოთ, რომ არც ჩიხში ვართ შესულნი, არც ჩაკეტილ წრეზე ვტრიალებთ და არც უიმედობასა და ნიჰილიზმს აქვს ადგილი ჩვენში. ჩვენი ქვეყნის ბედი ჩვენს ხელშია და გამოსავალიც ჩვენვე უნდა მოვნახოთ“! – განაცხადა პრეზიდენტმა.

მე, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი, მისი დამოუკიდებლობის, უსაფრთხოებისა და საგარეო კურსის გარანტი, ვხედავ ჩემს პასუხისმგებლობას ამ გამოსავლის პოვნაში. გამოსავალი არსებობს და ჩვენ თვალწინ ნათლად ჩანს, და რა არის ეს გამოსავალი: პირველ რიგში, ჩვენი ევროპული გზის გადარჩენა ამ გამოსავლის ქვაკუთხედია. დღეს, როდესაც რუსეთის აჩრდილი თავს გვადგას, ევროპასთან და ამერიკასთან პარტნიორობა და დაახლოება ჩვენი დამოუკიდებლობის, მშვიდობის შენარჩუნების, გაძლიერების ჭეშმარიტი გზაა. ის, ვინც ამ გზას საბოტაჟს უწყობს და აზიანებს, ის ფეხქვეშ თელავს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან და უსაფრთხო მომავალს, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულყოფილ წევრად ქცევის გზას.

ევროპული კავშირი არის თავისუფლების სივრცე, სადაც არცერთი ქვეყანა არ გაწევრიანებულა მისი და მისი ხალხის ნების გარეშე, ეს არის გზა ღიაობის, სამართლიანობისა და განვითარების. ეს არის ადგილი, სადაც დაცულია თუნდაც ყველაზე პატარა ერი, მისი ენა, სარწმუნოება, იდენტობა და ტრადიცია. ეს არის კავშირი, სადაც დაცულია ადამიანი, ოჯახი, მისი უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, სოციალური მდგომარეობა, მისი პირადი ცხოვრება, მისი ღირსეული სიბერე, სადაც დაცულია ადამიანის ყველა უფლება.

ევროპული კავშირი თავისი არსითა და იდეით შექმნილია მშვიდობისთვის, არცერთი ომის პარტია არ არსებობს ევროპაში, არცერთი ომი არ დაწყებულა ევროპის მიერ, მისი დაარსებიდან. სამაგიეროდ, რეალური ომის პარტია ერთია და მხოლოდ ერთი, რომელსაც დღეს ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც ვხედავთ – რუსული იმპერიალიზმი. ევროკავშირი კი, გვევლინება, როგორც თავისუფალი



ერების გაერთიანება, რომლის წიაღში ჩვენს ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა, მშვიდ და დაცულ გარემოში შეძლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და საკუთარი თავის განვითარება.

ჩვენ 33 წლის წინ შევუდექით ამ გზას და ამ გზაზე ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრები ყოველთვის ჩვენს გვერდით იდგნენ და მხარს უჭერდნენ ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობასა და განვითარებას. მხარს გვიჭერდნენ მორალურად, პოლიტიკურად, ფინანსურად და ინსტიტუციურად“!..

## პრემიერი გუშინ:

# მრავალმხრივი ღალატის მიუხედავად, მშვიდობა შევინარჩუნეთ!

**მოგესალმებით** ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმები საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს მეუფე შიოს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს, დედაქალაქის მერს, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრს, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს, ქართულ ჯარს, მივესალმები საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს მთავრობის წევრებს, მივესალმები კონსტიტუციური ორგანოების ხელმძღვანელებს, სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელებს, მივესალმები ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, მივესალმები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მივესალმები მოწვეულ სტუმრებს, მივესალმები ჩვენს ძვირფას თანამემამულეებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ თითოეულ ქართველს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, რომელიც საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ზეიმობთ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ წვევამდელებს, რომლებმაც ამ ღირსშესანიშნავ დღეს დადეთ სამშობლოს ერთგულების ფიცი.

3000 წელია, ქართველები ერთგულად შრომობდნენ, იბრძოდნენ და თავს წირავდნენ საქართველოს დამოუკიდე-



ბლობისთვის. იმპერიათა გზაგასაყარზე, სწორედ ამ ერთგულებამ და თავგანწირვამ შეაძლებინა ჩვენს პატარა, მაგრამ ამაყ ქვეყანას, შეენარჩუნებინა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ქედს ვიხრი თითოეული გმირის წინაშე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

106 წლის წინ, 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ რესპუბლიკას, რომელმაც, მართალია, მხოლოდ, 3 წელიწადი იარსება, მაგრამ დემოკრატიული მმართველობის უძვირფასესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

70-წლიანი საბჭოთა მმართველობის დასასრულს, 1990 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო 1991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მას შემდეგ, საქართველო გადის ერთგვარ მოსეს გზას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, „აღთქმულ მიწამდე“ აუცილებლად მიგვიყვანს.

ჩვენი „აღთქმული მიწა“, ანუ ქართული ოცნებაა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 40 წლისთავზე – 2030 წელს ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ერთად, ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდა გახდეს 2030 წელს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

გასული 34 წლის მანძილზე საქართველომ მრავალი განსაცდელი გამოიარა. გამოვიარეთ სამი ომი 90-იანი წლების დასაწყისში. 2004-2012 წლებში გამოვიარეთ ფაქტობრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, ავტორიტარიზმი, აგენტურის მმართველობა და მეოთხე ომი. საზოგადოების გამოუცდელობა და პოლიტიკოსების ღალატი ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტის დროებით დაკარგვად დაუჯდა. 2012 წლიდან დღემდე გამოვიარეთ საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შერყევის არაერთი მცდელობა, განსაკუთრებით ბოლო 4 წლის განმავლობაში.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ტრაგიკული კვირის კომედიები



*ვერ დაგპირდებით, გასაღებს შემოგთავაზებთ-მეთქი, მაგრამ ვიდრე გასული კვირის განვითარებულ მართლაც უცნაურ მოვლენებზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ – დიდი ეროვნული დღესასწაული – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე!*

*რა თქმა უნდა, უფროსმა თაობამ ყველაფერი მშვენივრად იცის, მაგრამ ევროკავშირის დროშების ფრიალით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ახალგაზრდობის გასაგონად ვიტყვი, რომ 1918 წლის 26 მაისს გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციაში (დღევანდელი მოსწავლე- ახალგაზრდობის სასახლე) თავისი უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ამიერკავკასიის სეიმმა. მან დაშლილად გამოაცხადა ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამავე დარბაზში გაიმართა „საქართველოს ეროვნული საბჭოს“ სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ხუთსაათიანი მსჯელობის შემდეგ საბჭომ ერთხმად დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.*

*თავის პრობლემებში ყელამდე ჩაფლულმა საბჭოთა რუსეთმა საქართველოსთვის 33 თვის შემდეგ მოიცალა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებლობა დამთავრდა. 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, „საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ“ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, ამავე წლის 31 მარტს (ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს!) ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ დღის აღსანიშნავად კვლავ 26 მაისი გამოაცხადა. საკუთარ პრობლემებში კვლავ ყელამდე ჩაფლულმა საბჭოთა კავშირმა რუსეთის მეთაურობით საქართველოსთვის ვერც ამჯერად მოიცალა.*

*საქართველო უკვე 33 წელია დამოუკიდებლობას ინარჩუნებს. იმედია, ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების გონივრული პოლიტიკის წყალობით, ასე გაგრძელდება უკუნითი უკუნისამდე...*

**არაფერი** ახალი – გასული კვირა დაიწყო იმით, რომ უკვე კარგა ხანია კარიკატურად ქცეულმა პრეზიდენტმა (ამას დიდი გულისტკივილით ვამბობ!) ზურაბიშვილმა დაპირებული ვეტო დაადო პარლამენტის მიერ ორიოდე დღით ადრე დამტკიცებულ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. თანაც, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, როგორც ამას მოითხოვს „კანონი ვეტოს შესახებ“. თუ „დასაბუთებად“ არ ჩავთვლით პრეზიდენტისთვის კი არა, თუნდაც ნატა ფერაძისთვის ყოვლად შეუფერებელ, ცინიკურ მინაწერს, რომ ამ კანონს, თურმე, ისედაც ერთი დღის სიცოცხლე გააჩნია!

აშკარად გარედან ნაკარნახევი ამ გადაწყვეტილებით ზურაბიშვილმა კანონში რაიმე შესწორების შესატანად ყველა გზა გადაკეტა.

„გარედან ნაკარნახევი“ შემთხვევით

**ეს გახლავთ არა რეკომენდაცია (რჩევა, მითითება, დახმარება რაიმე არჩევანის გასაკეთებლად), არამედ ყოვლად ჩვეულებრივი ულტიმატუმი – კატეგორიული მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობას აუცილებლად მოჰყვება წიხლქვეშ გაგდება და ცხვირ-პირის ამონაყვა.**

არ წამომცდენია – პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მყისიერად მოჰყვა ვენეციის კომისიის ეგრეთ წოდებული „რეკომენდაცია“ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის დაუყოვნებლივ გაწვევის თაობაზე:

„ვენეციის კომისია ამ კანონის მისი ამჟამინდელი ფორმით გაწვევის მკაცრი რეკომენდაციით გამოდის, ვინაიდან, მისი ფუნდამენტური ნაკლოვანებები მნიშვნელოვან ნეგატიურ შედეგებს მოიტანს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის, პრივატულობის უფლებისთვის, საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლებისთვის, დისკრიმინაციის აღკვეთისთვის.

ვენეციის კომისია წუხს, რომ ეს კანონი, რომელიც სენსიტიურია ადამიანის უფლებების კუთხით, ასევე ძალზე კონტრვერსიულია ქართველ საზოგადოებაში, რასაც ადასტურებს მასობრივი აქციები ქვეყანაში....

ამ კანონის ფარგლებში უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად განსაზღვრას სერიოზული შედეგები აქვს, ვინაიდან ის ძირს უთხრის სამიზნე ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობასა და სანდოობას, მათ ოპერაციებს. მუდმივ თვალთვალთან ერთად კონტროლის კომბინირებული ეფექტი, უდავოდ, გაართულებს და საფრთხის ქვეშ დააყენებს აღნიშნული ორგანიზაციების ეფექტიან ოპერაციებსა და მთლიანად, მათ არსებობას.

ვენეციის კომისია მკაცრი რეკომენდაციით გამოდის, საქართველოს მთავრობამ თავი დაანებოს რეგისტრაციის, ანგარიშების ჩაბარებისა და გასაჯაროების მოთხოვნებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, ონლაინ მედიისა და მაუწყებლებისთვის, რომლებიც უცხოურ დახმარებას იღებენ“

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – **ეს გახლავთ არა რეკომენდაცია (რჩევა, მითითება, დახმარება რაიმე არჩევანის გასაკეთებლად), არამედ ყოვლად ჩვეულებრივი ულტიმატუმი – კატეგორიული მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობას აუცილებლად მოჰყვება წიხლქვეშ გაგდება და ცხვირ-პირის ამონაყვა.**

როგორც კვირის ბოლოს ცნობილი გახდა, ვენეციის კომისიის დასკვნას საფუძვლად დაედო იურისტ ჯონ მაკბრაინის მიერ მომზადებული მოხსენება. ეს ის მაკბრაინია, ვინც წარუმატებლად, მაგრამ მაინც დიდი მონდომებით იცავდა სააკაშვილის ინტერესებს სტრასბურგის სასამართლოში. ვფიქრობ, ეს არის უცნაური და ერთობ დამაფიქრებელი ფაქტი – ღირს კი შესვლა იმ კავშირში, სააკაშვილის და მისი სატელიტების დაკრულზე რომ ცეკვავს?!

თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ „ვენეციის კომისია“ (ოფიციალურად, „ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად“), გახლავთ 1990 წელს იტალიის ინიციატივით შექმნილი ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანო. იგი შედგება კონსტიტუციური სამართლის დარგის დამოუკიდებელი ექსპერტებისგან და მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების დახმარებას გადაწყვეტილებების მოქმედი კონსტიტუციის ჩარჩოში მისაღებად. ვიმეორებ, ითვალისწინებს დახმარებას, რეკომენდაციებს და არა მუქარებს და ულტიმატუმებს.

თუ არ ვცდები, საქართველო ჯერჯერობით არ არის ვენეციის კომისიის წევრი.

ზოგიერთი ჩვენი ევროპელი „მეგობარი“ (აი ისინი, დაუპატიჟებლად რომ გვეწვივნენ და თბილისელ მომიტინგეებს აქეზებდნენ) იქით იყოს და, გასულ კვირას ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმაც რამდენჯერმე მკაცრად დაგვამუნათეს. ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენი ძველი „მეგობარი“ ენტონი ბლინკენი ამჯერადაც შეუდარებელი იყო:

**„ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ შეიმუშავა და მიიღო „უცხოური გავლენის“ კანონი, რომელიც ჩაახშობს გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებას, მოახდენს იმ ორგანიზაციების სტიგმატიზებას, რომლებიც ემსახურებიან საქართველოს მოქალაქეებს და ხელს შეუშლის დამოუკიდებელ მედია-ორგანიზაციებს, ქართველებისთვის მაღალი ხარისხის ინფორმაციის მიწოდებაზე რომ მუშაობენ. მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეებმა გამოთქვეს წინააღმდეგობა კანონის მიმართ, ჩვენ ვნახეთ მშვიდობიანი განსხვავებული აზრის ჩასახშობად დაშინებისა და ძალადობის აშკარა ნიშნები. როგორც „ეროვნული უსაფრთხოების კანონი“, ასევე რეპრესიული ტაქტიკა, რომელიც გამოიყენება ლეგიტიმური უთანხმოების ჩასახშობად, ძირს უთხრის საქართველოს დემოკრატიას და ფუნდამენტურ თავისუფლებებს.**

**ამ ქმედებების საპასუხოდ, სახელმწიფო დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოსთვის სავიზო შეზღუდვის ახალ პოლიტიკას, რომელიც გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებლები ან თანამონაწილეები არიან საქართველოში დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრაში, ასევე მათი ოჯახის წევრებზე. შეზღუდვები ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების აღკვეთაზე ძალადობის ან დაშინების კამპანიის გზით.“**

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ თვით აშშ-ის სენატში ბატონ ბლინკენს საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მაგალითად, ავტორიტეტული სენატორი კრუზი, რომელიც აშშ-ს დღევანდელ ხელისუფლებას პრეზიდენტ ბაიდენის მეთაურობით, ქვეყნის გადაგვარებასა და თანამედროვე კაცობრიობის მესამე მსოფლიო ომის კარიბჭესთან მიყვანაში ადანაშაულებს.

**რაც მთავარია, გასული კვირის ბოლოს ბლინკენმა დანაპირები შეასრულა. თეთრმა სახლმა (აშშ-ს სენატმა და კონგრესმა) განსახილველად მიიღო აშკარად ტრაგიკომიკური პროექტი, მარადიულ სირცხვილად რომ გაჰყვება ამ სოლიდური ორგანოს ისტორიას – ოჯახებთან ერთად დაასანქციროს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ყველა წევრი, ვინც ხმა მისცა „გამჭვირვალობის კანონის“ მიღებას. მეტიც, საქართველოს მოქმედი და ყოფილი მთავრობის წევრებიც 2012 წლიდან, ვინც მხარს უჭერდა ამ გადაწყვეტილების მიღებას. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს – „ყოფილებში“ ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი იგულისხმება.**

ეს არის აშკარა მაგალითი იმისა, რომ „მეგობარი“ ამერიკის დღევანდელ ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია საქართველოც, დანარჩენი მსოფლიოც, სამართალიც და ის შედეგებიც, რაც შეიძლება ამგვარ ბრიყვულ გადაწყვეტილებას მოჰყვეს.

ამერიკის სენატს, თვით ბატონ ენტონი ბლინკენსაც კი ჯერჯერობით მსოფლიოს გასაგონად არაფერი წამოსცდენიათ საფრანგეთის სენატზე, რომელმაც გასულ კვირას სენატში განსახილველად შეიტანა ქართულის ანალოგიური კანონპროექტი უცხოური ჩარევის პრევენციის შესახებ, რომელიც, ქართულისგან განსხვავებით, უმკაცრეს კონტროლს, უზარმაზარ ჯარიმებს და ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებს. **საფრანგეთში საპროტესტოდ არც ისლანდია-ბალტიისპირელი მინისტრები ჩასულან და, წარმოიდგინეთ, არც მელია-გვარამია-ვაშაძე-ხაზარაძე-ხვიჩია-ხაბეს კოალიციური დელეგაცია.**

ძნელი დასაჯერებელია, რომ ბაიდენის მთავრობას „მეგობარი“ საფრანგეთისა ეშინია ან ერიდება – სავარაუდოდ, მათ შორის ჯერჯერობით კულისების ომი მიმდინარეობს. საფრანგეთი არ არის ის ქვეყანა, რომელსაც დიდი ოკეანისგაღმელი „მეგობარი“ საჯაროდ ჭკუას დაარიგებს, შეაშინებს ან წაუთაქებს კიდეც.

* * *

**ერთი შეხედვით, საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, აშშ-საქართველოს ურთიერთობას არ უკავშირდება, მაგრამ ძალიან დამაფიქრებელია უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის გასულ კვირას გაკეთებული განცხადება – მივმართავ აშშ-ის ხელისუფლებას, ნება დაგვრთოს, რომ მის მიერ მოწოდებული იარაღი რუსეთის ტერიტორიების წინააღმდეგ გამოვიყენოთო.**

ღმერთმა დაიფაროს და, თუ მართლაც ასე მოხდა, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალი იქნება და საქართველო, როგორც სტრატეგიული ობიექტი, მას ვეღარსად დაემალება – ამერიკის ან რუსეთის (რომელიც დაასწრებს!) არმია უეჭველად დაიკავებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას ომით ან უომრად. საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ქართველი ერის ხვალინდელი დღე სათუო გახდება.

ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება ხედავს ამ მომაკვდინებელ საშიშროებას



**ეს არის აშკარა მაგალითი იმისა, რომ „მეგობარი“ ამერიკის დღევანდელ ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია საქართველოც, დანარჩენი მსოფლიოც, სამართალიც და ის შედეგებიც, რაც შეიძლება ამგვარ ბრიყვულ გადაწყვეტილებას მოჰყვეს.**

# ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲚᲞᲐ!



**ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ „ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲘᲡ" ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲣᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲙᲐᲞᲐᲡᲔᲑᲐ, ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ, ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲓᲔᲡ. „ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ" ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ ᲡᲣᲠᲡ ᲨᲔᲣᲖᲦᲣᲓᲐᲕᲐᲓ, ᲓᲐᲣᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲪ, ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐᲪ ᲓᲐ ᲚᲘᲔᲢᲣᲕᲐᲪ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲪ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲪ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲪ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲪ...**

და მისგან თავის ასარიდებლად შესაბამის ნაბიჯებს დგამს, მათ შორის – არაპოპულარულსაც.

სამწუხაროდ, ალბათ არ ვცდები – ევროპული ქვეყნების გადაწყვეტილება „გამჭვირვალობის" კანონების მიღებაზე და აშშ-ის ერთი შეხედვით აუხსნელი გაკაპასება, ზოგადად, ამგვარი კანონების მიღებაზე, სწორედ ახალი გლობალური ომის საშიშროებას უნდა მოასწავებდეს. „მეგობარ" ამერიკას სურს შეუზღუდავად, დაუბრკოლებლად აკონტროლოს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, საფრანგეთიც და გერმანიაც, ისლანდიაც და ლიეტუვაც, რუსეთიც და ირანიც, ჩინეთიც და ინდოეთიც, საქართველოც და სომხეთიც...

ევროპელები მშვენივრად ხედავენ დიდი ოკეანისგადმელი მეგობრის ზრახვებს და ამის დასტურია გასულ კვირას უნგრეთის პრეზიდენტ ვიქტორ ორბანის განცხადება – ამერიკა მსოფლიოს ახალი გლობალური ომისკენ მიაქანებსო.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, მას „გამჭვირვალობის" კანონის ამოქმედებისთანავე გაუჩნდება საფუძველი მსოფლიოს გასაგონად თქვას ის, რისი თქმის ურიდლობი უფლება არ გააჩნია დღის – საქართველოში ანტისახელისუფლებო, ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები ნაკარნახევია და ფინანსდება დიდი „მეგობარი" ქვეყნიდან და ემსახურება ჩვენი ქვეყნის ახალ გლობალურ ომში ჩათრევას.

* * *

**ᲔᲭᲕᲘ** მღრღნის, მაგრამ არ მინდა სლოვაკეთის პარლამენტში გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის წარდგენის დავუკავშირო გასულ კვირას ამ ქვეყნის პრემიერ რობერტ ფიცოსთან დაკავშირებული ტრაგიკული შემთხვევა – ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის შემდეგ მას 71 წლის თანამოქალაქე პროფესიონი მოუახლოვდა და მოულოდნელად რამდენიმე ტყვია დაახალა. მძიმედ დაჭრილი პრემიერი რობერტ ფიცო ჯერჯერობით ცოცხალია, თუმცა მკურნალი ექიმები სანუგეშოს ვერაფერს ამბობენ. ექსმიტანილი დაკავებულია (მიმალვა არც უფიქრია) და იმედია, დანაშაულის მოტივი მალე გაცხადდება. თუ, რა თქმა უნდა, 1963 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის ისტორია არ განმეორდა. ვგულისხმობ, კენედის მკვლელის ჰარი ოსვალდის მკვლელობას ჯეკ რუბის მიერ და მერე ამ უკანასკნელის უცნაურ გარდაცვალებას ციხეში.

* * *

**ᲒᲐᲡᲣᲚ** კვირას ავიაკატასტროფაში დაიღუპა ირანის პრეზიდენტი აბდურაჰმან რაისი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, კიდევ შვიდი მაღალჩინოსანი და ვერტმფრენის ეკიპაჟი. აზერბაიჯან-ირანის საზღვართან კაშხლის გახსნის შემდეგ ვიზიტით მყოფი პრეზიდენტი სამშობლოში ბრუნდებოდა.

ირანელი სტუმრები ადგილზე სამი ვერტმფრენით ჩაფრინდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, უკან მიმავალ გზაზე, უამინდობის გამო კლდესთან შეჯახებისას რაისის ვერტმფრენი ჩამოვარდა, დანარჩენი ორი კი შინ მშვიდობიანად დაბრუნდა.

მსოფლიო პრესაში გამოთქმულია უამრავი ვარაუდი ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო. გავრცელდა ვერსიები, რომ შესაძლოა, თვითმფრინავის (პრეზიდენტ რაისის) დაღუპვით დაინტერესებული ყოფილიყო ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები ან თვით პაკისტანიც კი. თუმცა, ამის დამადასტურებელი რაიმე მეტნაკლებად სარწმუნო ინფორმაცია არ არსებობს...



მძიმედ დაჭრილი პრემიერი რობერტ ფიცო ჯერჯერობით ცოცხალია, თუმცა მკურნალი ექიმები სანუგეშოს ვერაფერს ამბობენ.

* * *

**ᲒᲐᲡᲣᲚ** კვირას საქართველოს განათლების სისტემისა და მთლიანად საქართველოს მომავლისთვის ძალიან საგულისხმო განცხადება გააკეთა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ. მან საკმაოდ დაწვრილებით ისაუბრა დღევანდელი ქართული განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე და მისი აღმოფხვრის აუცილებლობაზე. ბოდიშიც მოიხადა, რომ თორმეტწლიანი მმართველობის განმავლობაში ხელისუფლებამ განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად ვერ მოიცალა. პირობაც დადო, რომ უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ეს მეტად მტკივნეული პრობლემა უეჭველად გადაიჭრება.



გავრცელდა ვერსიები, რომ შესაძლოა, თვითმფრინავის (პრეზიდენტ რაისის) დაღუპვით დაინტერესებული ყოფილიყო ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები ან თვით პაკისტანიც კი.

მართალია, სტრასბურგის სასამართლომ „ვივამედში" გამაგრებული ნაცების მარადიული პრეზიდენტი სააკაშვილი კიდევ ერთხელ გაანბილა, მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ როგორც ტელევიზიით მისი გამოსვლისას დავრწმუნდით, ჯანზეა და უახლოეს მომავალში საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს. თანაც გაკვირვებულია, მე, მიშა სააკაშვილს ციხეში რა მინდა, როცა ამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელიო.

მოდი, ჩვენც გავამხნევოთ – ცოტაცა, მიშა-ჯან, ცოტაცა, აი, საცაა ხაზე გაპრეზიდენტდები, ჭიჭე გაპრემიერდება და შენც გაშველდები, მააშ!



**ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ**
26. 05. 2024

**ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ** კვირაა საქართველოში დიდი „პოლიტიკური" გნიასია „გამჭვირვალობის" კანონთან დაკავშირებით.

ხმაური დიდი ხანია გასცდა სადღაც კავკასიის მთებში მდებარე მცირე სახელმწიფოს საზღვრებს და ცივილიზებული მსოფლიოს ისეთ პრობლემად იქცა, რომ სისხლისმღვრელი ომი შუაგულ ევროპაში დაჩრდილა კიდეც .

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი საქართველოს პოლიტიკოსთა და მათი ოჯახის წევრების საჯარო დასჯით (ანუ დასანქცირებით!) იმუქრება.

ვიღაც ევროკომისარი საქართველოს პრემიერ-მინისტრს უთითებს ახლახან მომხდარ სკანდალურ ტერაქტზე, რითაც თავხედურად მიანიშნებს მის შესაძლო მომავალზე.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დემოკრატიული ინსტიტუტების, საერთოდ, ამ მეგა წარმონაქმნების ყოფნა-არყოფნის საკითხი „გამჭვირვალობის" კანონის მიღება-არმიღებაზე იყოს დამოკიდებული.

აღარაფერს ვამბობთ ე.წ. „ოპოზიციაზე" რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ხსენებული კანონის გაუქმებით და ქვეყანაში ქაოსის დამკვიდრებით.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო მასშტაბის ეს კონფლიქტი შეუძლებელია გამოწვეული იყოს კანონით, რომლის მოქმედების არეალი მხოლოდ საქართველო უნდა იყოს...

პრობლემის არსი და ფართომასშტაბიანი უმწვავესი რეაქცია სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ კანონი „გამჭვირვალობის" შესახებ მძიმედ აზიანებს აშშ-ის და ევროკავშირის ე.წ. „საგრანტო" ინიექციებთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ პოლიტიკური ისტებლიშმენტის ინტერესებს.

არის თემები, რომელზეც ხელისუფლება, პოლიტკორექტულობიდან გამომდინარე, იძულებულია დუმდეს, მაგრამ ასეთი ვალდებულება ჩვენ ნამდვილად არ გვაკისრია.

1995 წლიდან, ხელისუფლებაში პირველი ინტერესთა ჯგუფის – „მოქალაქეთა კავშირის" მოსვლის შემდეგომ, სტარტი აიღო „არასამთავრობოთა" შექმნა-დაფუძნების პროცესმა, რომელშიც იმთავითვე იყო ჩადებული კორუფციული შემადგენელი.

კერძოდ, ემისარი, რომელსაც „ჩამოჰქონდა" გრანტი, „ატკატის" სახით იღებდა საქართველოში შემოსული თანხის 30-იდან 50%-მდე. სამაგიეროდ, ორგანიზაცია, რომლის სახელითაც გაიცემოდა თანხა, ნებაყოფლობით უარს ამბობდა დანარჩენი თანხის ხარჯვის მიზნობრიობის კონტროლზე.

გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კორუფციული ვერტიკალი უცხოელი ემისრით არ შემოიფარგლებოდა და დასავლეთის ქვეყნების მევრ სახელისუფლო სტრუქტურას ეხებოდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საგრანტო „ინიექციებით" არა მხოლოდ მსოფლიოს ეკონომიკურად შეჭირვებული სახელმწიფოები და კონტინენტები, არამედ თვით აშშ-ის და საფრანგეთის (ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) არასამთავრობოებიც სარგებლობდნენ, გასაგები იქნება, რომ ბოლო თუნდაც 30 წლიანდაში, ასეულობით მილიარდი დოლარია გახარჯული.

იგულისხმება, რომ გრანტებს გასცემდნენ არა მხოლოდ კერძო სტრუქტურები და ქველმოქმედები, არამედ ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები.

ასევე იგულისხმება, რომ უმეტეს შემთხვევაში ამ სახელმწიფოთა მიზანი კეთილშობილური და დახმარების მიმღებთათვის უაღრესად საჭირო იყო.

ევრო-ამერიკული „აღშფოთებისა" და „შეშფოთების" საერთაშორისო მასშტაბს თუ ამ გადასახედიდან შევაფასებთ, ცხადი გახდება, რომ იგი ზუსტ შესაბამისობაშია იმ მოსალოდნელ შედეგებთან, რითაც ქართული „გამჭვირვალობის" კანონი „ემუქრება";

ამ კანონმა შეიძლება შექმნას პრეცედენტი, რომლითაც შესაძლოა ბევრმა ქვეყანამ ისარგებლოს და რაც შედეგად მოიტანს აშშ-ის და ევროპის ზოგ ქვეყანაში იდეალურად აწყობილი „საგრანტო კორუფციის" ჩამოშლას.

ამას გარდა, თუკი საჯარო გახდება ევრო-ამერიკული „აღშფოთების" ნამდვილი მიზეზები, შესაძლოა, ხელისუფლებებში ძლიერი რყევებიც გამოიწვიოს.

ამ ფონზე, სრულიად ლოგიკურად და საფუძვლიანად მიგვაჩნია იმ ეჭვების გაჩენაც, რომელმაც არაერთხელ გაიჟღერა უკრაინისთვის მრავალმილიარდიანი დახმარების ფონზე ამ თანხების დატაცების შესახებ.

ასევე, სამწუხაროდ, სრულიად საფუძვლიანად მიგვაჩნია, რომ უკრაინის ომის გაგრძელებით და მასზე ხელის მოთბობით ბევრია დაინტერესებული როგორც გლობალურ დასავლეთში, ასევე უკრაინაშიც.

რაც შეეხება ქართული ხელისუფლების წარმომადგენელთა სანქცირებას.

აშშ-სა და გლობალური დასავლეთის დღევანდელ მმართველთა ორმაგი სტანდარტის საჩვენებლად საკმარისია მოვიგონოთ სააკაშვილის ხელისუფლების იმ ჩინოსანთა სია, რომელთა ნამუსზე ქართველი ხალხის სისხლი და ტანჯვა-წამებაა და, რომლებიც მათ „დაასანქციეს"...

აღარაფერს ვამბობთ ქართველი სამართალდამცავების მიერ საერთაშორისო ძებნაში მყოფებისთვის უცერემონიოდ ხელის დაფარებაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე არ შეიძლება სიამაყის გრძნობით არ ვახსენოთ ირაკლი კობახიძე, რომელმაც გაბედა და „გამჭვირვალობის" კანონის ინიცირებით შეძრა გაუგონარ კორუფციაში და მიმლიერ სოდომის ბინიერების პროპაგანდაში ჩაძირული „დანიის" სამეფო.

მისი ამ თავგანწირული ნაბიჯის შედეგი აუცილებლად დადგება თავად გლობალური დასავლეთის ხალხების საკეთილდღეოდ!

**ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ,**
**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲕᲔᲚᲗᲐᲣᲠᲘ**



# 26 მაისი – დამოუკიდებლობის დღე

## პრემიერი გუშინ:

# მრავალმხრივი ღალატის მიუხედავად, მშვიდობა შევინარჩუნეთ!

(მესამე გვერდიდან)

საქართველო და მისი დამოუკიდებლობა დღესაც ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, დღეს ქართველი საზოგადოება ბევრად უფრო გამოცდილია, ვიდრე დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში იყო, ხოლო ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგას და მის ეროვნულ ინტერესებს იცავს.

სწორედ ხალხისა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების ერთიანობამ და გონივრულმა ნაბიჯებმა მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ ეგზისტენციური საფრთხეების და მრავალმხრივი ღალატის, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის ღალატის მიუხედავად, გასული 2 წლის განმავლობაში ქვეყანაში მშვიდობა შეგვენარჩუნებინა.

საქართველოს უახლესმა ისტორიამ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებული სიცხადით დაგვანახა, რომ სუვერენიტეტი ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე ეფექტიანი გარანტიაა. სწორედ ამიტომ დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ეროვნული იდენტობის სამ საყრდენს – მამულს, ენას და სარწმუნოებას. სწორედ ამიტომ დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და დავამარცხოთ სიძულვილი, რადგან მტრობით დანგრეულის შენება მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი.

3 ათასწლეულის განმავლობაში, იმპერიათა დაპირისპირების ეპიცენტრში მდებარე ჩვენი პატარა ქვეყანა ქართველებმა სწორედ სამშობლოს და ერთმანეთის სიყვარულით გადავარჩინეთ. დიდი იმპერიები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, რადგან მათი მამოძრავებელი ერთადერთი ძალა ანგარება და სიძულვილი იყო. ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანას კი, რომელიც მამულს, ენას და სარწმუნოებას იცავდა და ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულს არ ივიწყებდა, საუკუნეების მანძილზე ღმერთი იფარავდა.

ღმერთის მფარველობით და თითოეული ჩვენგანის შრომითა და ბრძოლით, ჩვენ აუცილებლად ავიხდენთ ქართულ ოცნებას და შევქმნით ერთიან და ძლიერ საქართველოს, რომელიც სუვერენიტეტით, ღირსებით და ფასეულობებით დაიკავებს კუთვნილ ადგილს საერთო ევროპულ ოჯახში.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ღმერთი იყო ჩვენი ქვეყნის მფარველი!




## შალვა პაპუაშვილი:

# ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, გავერთიანდეთ საქართველოსთვის!



**„დღევანდელი** დღე განასახიერებს საქართველოს მოსახლეობის დაუოკებელ სწრაფვას საკუთარი მომავლის თავად განკარგვის უფლების მოსაპოვებლად, სხვა ერთა შორის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად და განვითარების უსაფრთხო გარემოს საბოლოოდ განსამტკიცებლად. ეს დღე საუკუნეების მანძილზე მტრებთან ბრძოლაში სისხლად დაღვრილი ძალისხმევის და მიწასთან დაუნებებელი ჭიდილის შედეგია. თუმცა ბრძოლა თავისუფლებისათვის არასდროს მთავრდება. მითუმეტეს ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისთვის, რომელსაც ადგილსამყოფელად განგებამ უდიდეს ცივილიზაციათა გზაჯვარედინი არგუნა. მტერ-მოყვარეები ხშირად ცდილობდნენ ქართველების დაბნევას, უცხო დროშაზე სწორებას და სხვა მზის დაფიცებას. ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვაქვს ერთი დროშა, ერთი გერბი, ერთი ჰიმნი და ერთი სამშობლო. ყოველთვის, როცა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადობას საფრთხე ემუქრებოდა, ქართველში იღვიძებდა ათასწლეულების ისტორიულ ქარტეხილებში გამობრძმედილი უძველესი გენი და სიბრძნით განათებული გონი, რომელსაც ჩვენი ერი სამშვიდობოზე გაჰყავდა. ასე იყო წინათ, ასეა დღეს და ასე იქნება ხვალაც. საქართველომ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობით, ბრძოლით და ადამიანური ღირებულებებისადმი ერთგულებით არაერთხელ დაამტკიცა, რომ ის არის ქვეყანა, რომელსაც თავის გადასარჩენად არასდროს მოუსურვებია სხვა ერის ხალხთა სისხლისღვრა, არასდროს უცდია სხვის ხარჯზე საკუთარი ინტერესების წინ დაყენება და არასდროს უკადრებია სხვათა დაჩაგვრის გზით კეთილდღეობის მოპოვება. პირიქით, მეგობარ ერთა თავისუფლებისთვის ყოველთვის პირველი იმაღლებდა ხმას უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა აირჩია დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის, ისეთივე კეთილშობილურია, როგორც თავად მიზანი.

* * *

**„ჯარისკაცებო,** თქვენ დღეს დადეთ ფიცი ჩვენი სამშობლოს დროშის წინაშე და შეკარით პირობა, რომ იქნებით საქართველოს დამოუკიდებლობისა და მშვიდობის უპირველესი მცველები, დამოუკიდებელი საქართველოს ჯარისკაცები. დღეს თითოეული თქვენგანი შეუერთდა ქართულ ჯარს, რომელიც ჩვენი ეროვნული სულის, შეუპოვრობისა და სიმამაცის პირდაპირი გამოხატულებაა. დღეს თქვენ ხართ ქუჯის და ფარნავაზის, მირიანის და გორგასლის, დავითის, თამარის და ერეკლეს ჯარი; მათი ათასწლოვანი მხედრული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. თქვენ უკან ჩვენი სამშობლოა და საქართველოს თითოეული მოქალაქისგან შემდგარი ლაშქარი. ჩვენ ყველას ერთი ეროვნული მისია გვაქვს: ჩვენი მამულის, ჩვენი ენის, ჩვენი სარწმუნოების დაცვა და განმტკიცება. ეს წმიდათაწმიდა მისიაა, რომელიც წინაპართაგან გადმოგვეცა და რომელსაც ვერასდროს ვერავინ ჩაგვინაცვლებს. ჩვენ არასდროს შეგვშლია მტრისა და მეგობრის გარჩევა. მოყვარეს მუდამ მოყვრულად ვხვდებოდით, ხოლო მტრებისთვის „ავი მუსაიფები“ ვიყავით.

ამ პრინციპით მოვედით დღემდე და ასე იქნება მომავალშიც. რამდენადაც დამოუკიდებლობა არის ეროვნული იდენტობის შენარჩუნების წინაპირობა, იმდენად ისწრაფვის ჩვენი სამშობლო ევროპასა და მსოფლიო ერთობაში თანასწორი ადგილის დამკვიდრებისკენ. ამ სულისკვეთებით იბრძოდნენ ჩვენი ჯარისკაცები საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში, სადაც ოქროს ასოებით ჩაწერეს ქართველი ჯარისკაცის სახელი;

გასაჭირის ჟამს ყველგან და ყოველთვის წინა ხაზზე ძგერდა ქართული გული. ჩვენ იქ მივდიოდით გულით და არა ანგარებით, რწმენით და არა დავალებით, აქ ცოტანი – იქ ლამის ყველაზე ბევრი ვიყავით. საერთაშორისო მისიებში ჩვენი წვლილი გამორჩეული იყო, რადგან მსოფლიოს წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობა არასდროს გაგვიზომავს ჩვენი ქვეყნის სიდიდით. ამიტომაც მოელის ქართველი ხალხი, რომ ჩვენდამი დამოკიდებულებაც იქნება არა ჩვენი ქვეყნის ზომით, არამედ ჩვენი ხალხის გულის სიდიდით განსაზღვრული.

ქართველი ჯარისკაცის თავდადებასა და გაუტეხლობას ლეგენდებისა და მითების შექმნა არ სჭირდება, რადგან ამ უწყვეტი ისტორიის ფესვები ათასწლეულებს ითვლის - ღირსეულ მეფეთა ლაშქრებიდან მოყოლებული ჩვენ თვალწინ ჩადენილი საარაკო გმირობებით. ქედს ვიხრი ყველა ამ ქართველი გმირის წინაშე, რომელთა საგმირო საქმეები საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის საყრდენშია ჩაჭედილი. ძვირფასო მეგობრებო, ეს დღე ჩვენია, საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათი, ვისაც გულწრფელად უყვარს ეს ქვეყანა განურჩევლად განსხვავებებისა. ჩვენ არ გვაქვს უფლება, თითოეული გულისცემა, რომელიც ამ ქვეყნისთვის ძგერს, ერთ დიდ ქართულ ერთობად არ ვაქციოთ. ამიტომაც მივმართავ ყველას, ამ ქვეყნის შვილებს, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებსა და დებს, ერსა და ბერს, დიდსა და პატარას, გავერთიანდეთ საქართველოსთვის, ჩვენი საერთო მომავლისთვის, ხვალინდელი დღისთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გაგვაჩნია. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, კიდევ ერთხელ გილოცავთ ქართველ ჯარისკაცებს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ოჯახებს და ქვეყნის ნამდვილ მეგობრებს. დიდება საქართველოს! ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს მფარველი!

## ირაკლი ჩიქოვანი:

# მტკიცედ მწამს, ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს!



**„სწორედ** ერთიანი საქართველოა და არა ოკუპაციით გახლეჩილი სამშობლო კეთილი მომავლის საწინდარი. მტკიცედ მწამს, ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს. კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გისურვებთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას და გაძლიერებას, ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს მფარველი.

მინდა პატივი მივაგო ყველა იმ გმირს, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და მსოფლიო მშვიდობის დაცვას. ქედს ვიხრი თითოეულის ხსოვნის წინაშე. მინდა განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო მათი ოჯახების მიმართ. თქვენ აღზარდეთ გმირები. დღევანდელი დღე მინდა მივულოცო ჩვენს სახელოვან ვეტერანებს, რომლებიც ღირსეულად იბრძოდნენ საქართველოსთვის და მისი უკეთესი მომავლისთვის. საქართველოს დამცველებო, თქვენი თავდადება ფასდაუდებელია. ვულოცავ და დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს დაჭრილ, დაშავებულ მებრძოლებს, რომელთა დაუმარცხებელი სული სამაგალითოა ყველა ჩვენგანისთვის.

მჯერა, ეს გადაწყვეტილება მუდამ იქნება თქვენი და თქვენი ოჯახების ერთ-ერთი ყველაზე საამაყო დღე. დარწმუნებული ვარ, პირნათლად მოიხდით თქვენს მხედრულ ვალს საქართველოს წინაშე. რეკრუტებო, თავდაცვის ძალები ერთი დიდი ოჯახია, რომელიც აერთიანებს საქართველოს ყველა მოქალაქეს და აქვს უზენაესი სახელმწიფოებრივი მიზანი, დაიცვას ჩვენი სამშობლო. დამოუკიდებლობის დღეს ვულოცავ ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი შრომითა და მონდომებით ქმნის ჩვენი ქვეყნის ძლიერ და ნათელ მომავალს. ჩვენს ექიმებს, მასწავლებლებს, პოლიციელებს, უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს, საჯარო მოხელეებს, მეწარმეებს, ფერმერებს. ყველას, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობასა და გაძლიერებაში. ყველანი ერთად ვაძლიერებთ დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოს, რაც მისი ყველა მოქალაქის თვითრეალიზების, განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა. ზუსტად ასეთი საქართველო დაიმკვიდრებს თავის ღირსეულ ადგილს ევროპულ ოჯახში...

# კახა კახიშვილი:

# რატომ უბიძგებენ ამ ბავშვებს ასეთი მძიმე დანაშაულისკენ?! გინდა?! შენ შედი მაშინ და შენ აგე პასუხი, ბავშვს რატომ უშვებ?!

*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს დეპუტატთან, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარესთან **კახა კახიშვილთან**, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს:*



– ჩვენ თავიდანვე მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ ჩვენი გზა არის ევროპისკენ და ამერიკისკენ. ახლა სანქციებით საუბარი დაახლოებით ისეთია, მდიდარი ნათესავი რომ გყავს და ყველაფრით გემუქრება – შენ თუ ამას არ იზამ, აღარ დაგეხმარებიო. არ მგონია, რომ ეს სერიოზული იყოს... მითუმეტეს, დიპლომატის მხრიდან.

მინისტრობის პერიოდში საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა შეერთებული შტატების საელჩოსთან. ძალიან ბევრ პროექტს ვახორციელებდით ერთად, რისთვისაც მადლობელი ვარ. ერთი პროექტი განვახორციელეთ მხოლოდ მათი ინიციატივით და განვახორციელეთ ზუსტად ისე, როგორც გვთხოვეს. ერთ წელიწადში ეს პროექტი სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღმოჩნდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უხეირო პროექტი. რა თქმა უნდა, მქონდა ელჩთან შეხვედრა და როდესაც ვკითხე, რა მოხდა-მეთქი? მითხრა, ნუ აქცევ ყურადღებას, ძირითადად ენჯეოების თვალთახედვით ხდება სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებაო... ამიტომ ჩვენ კონკრეტულად უნდა ვიცოდეთ, ვის და რაზე ველაპარაკოთ.

**– ო’ბრაიენმა თქვა ორი რამ, მაგალითად, კანონი იუსტიციის სამინისტროს აძლევს უფლებას, წვდომა ჰქონდეს არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ ყველა მასალაზე, დაუწესოს ჯარიმები, შემდეგ გასაჩივრდეს და ეს ამერიკული კანონის საწინააღმდეგო მიდგომააო. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ის ფიქრობს, რომ მოდიფიკაცია უნდა განხორციელდეს...**

– რა არის იუსტიციის სამინისტრო და რას ნიშნავს მისი სახელი ინგლისურად?! ამიტომაც მიეცა იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგისთვის და არა გენერალურ პროკურატურას, როგორც დავუშვათ ამერიკაშია. პროკურატურა მაინც სისხლის სამართლებრივ დევნასთან არის ასოცირებული და ამიტომ უფრო სამოქალაქო სტრუქტურას მიეცა მონიტორინგის უფლება. ამავდროულად, ხომ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გასაჩივრების საშუალება არის სასამართლოში. თუ არ ეთანხმები თუნდაც იუსტიციის სამინისტროს მიერ გაკეთებულ დასკვნას, ან მის ჯარიმას, შეგიძლია სასამართლოში გაასაჩივრო და იქ ადმინისტრაციული წესით იდავო ამ აქტის სისწორეზე.

თუ ვიპოვით გამოსავალს ისე, რომ არც ჩვენი მოქალაქეები დაშავდნენ, არც სახელმწიფო ინტერესი და ჩვენ პარტნიორებსაც ჰქონდეთ შეგრძნება, რომ რა თქმა უნდა, ისევ მივდივართ თანამშრომლობაზე და ისევ ვთანამშრომლობთ, ეს იქნება ყველაზე საუკეთესო მოდელი, თუმცა სამწუხაროდ, დღემდე არავის არაფერი უთქვამს კანონთან დაკავშირებით, რას აპროტესტებდნენ.

**– სალომე ზურაბიშვილმა ღიად განაცხადა, რომ წინ გაუძღვება პროევროპულ ფრონტს, შესაბამისად ოპოზიცია, რომელიც მასთან იქნება, პროევროპულად მონიშნა, თქვენ მმართველი პარტია კი - პრორუსულად...**

– სალომე ზურაბიშვილი მმაჩის ბიუროში კი არ მუშაობს, პრეზიდენტია და აქვს თავისი ვალდებულება...

ვფიქრობ, ბოლო პერიოდში სალომე ზურაბიშვილი მუშაობს თავის ევროპულ პენსიაზე და ცდილობს, ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომ შემდგომში ევროპაში უფრო მეტი პენსია დაიმსახუროს. აი, ვნახავთ, თუ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მას არ ექნება თანამდებობრივი პერსპექტივა საქართველოში, მეორე დღესვე ვერ ვნახავთ აქ.

**– ამბობთ, რომ სალომე ზურაბიშვილი ახლა დროებით არის საქართველოში?**

– ასე არ იყო სულ?! დროებით იყო ამ ქვეყანაში, როდესაც თანამდებობაზე იყო, აქ იყო, მერე მიდიოდა, მერე ისევ მოდიოდა, როდესაც თანამდებობას სთავაზობდნენ. მე სხვა ინფორმაცია არ მაქვს. ახლაც ვხედავ ზუსტად ისეთ მოქმედებებს, რომ ის არ მუშაობს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებზე. ამ შემთხვევაში, საკუთარ სახელმწიფოში ვგულისხმობ საქართველოს იმიტომ, რომ ჩვენთვის ეს ასეა, თუმცა, იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც თვლის, რომ მისია, იმის რაღაც ინტერესების ნაწილში შეიძლება მუშაობდეს. მე ასე მასწავლეს ცხოვრება ჩემმა მშობლებმა, როდესაც შენ დიდი ხარ, პატარას უნდა გადაეფაროო.

ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს...

ბავშვებს აყენებენ წინ და თვითონ უკან იმალებიან. შეხედეთ, რამდენი გულწრფელი, სუფთა ბავშვი დგას ახლა და მათ ეუბნებიან: შვილო, შენ გართმევენ ევროპაში წასვლის უფლებას, ვეღარ გაფრინდები ქუთაისიდან 20-30 ევროდ მილანში, ბარსელონაში და ა.შ. რა ქნას იმ ბავშვმა, იჯერებს და ამ ნარატივს მიჰყვება, მაგრამ გულში შენ ხომ იცი, რომ ამ ბავშვს ფაქტობრივად უფუჭებ ცხოვრებას...

ამ ბავშვებს რომ უბიძგებ პარლამენტში შევარდნისკენ, ცოდვები არ არიან?!

დალეწეს რაღაცეები, უთხრეს, რომ ეს არ ისჯება და ესეც პროტესტის გამოხატვააო.

რა იცის იმ პატარა ბავშვმა, ადგა, ეს ჯებირები მოხსნა და შევიდა, დამთავრდა, ხომ გაიფუჭა ცხოვრება?!

**გულწრფელი რომ იყო, ყველაფერი გააპროტესტე, რაც არასწორია, მერე ხალხი დაგიჯერებს, მაგრამ ალაგ-ალაგ რაღაცას რომ ხედავ და ალაგ-ალაგ თავს იბრმავებ, შენი გულწრფელობის არავის სჯერა.**

ხვალ-ზეგ არავის გაახსენდება ის, მართლა არვის გაახსენდება.

შესაძლოა, ეს ბავშვები პასუხისგებაში იყვნენ და ვინ არის მათი პატრონი?! რომც უპატრონონ, ბიოგრაფიაში ნასამართლობის შესახებ ჩანაწერი ხომ რჩება?! რატომ უბიძგებენ ამ ბავშვებს ასეთი მძიმე დანაშაულისკენ?! გინდა?! შენ შედი მაშინ და შენ აგე პასუხი, ბავშვს რატომ უშვებ?! გაქვს ამის თავი? შედი, მაგრამ რა უნდა გააკეთო იმ პარლამენტში?!

კარგი, სახელმწიფო კანცელარიაში შეხვედი და რა უნდა გააკეთო?! იყავი ერთი კვირა, ორი კვირა, მერე?! ამით რა მთავრდება? არაფერი! კიდევ ერთხელ ვამბობ, რევოლუციის მოწყობა როცა გინდა, უნდა იცოდე როგორ აწყობ რევოლუციას, როგორ უნდა მოაწყო რევოლუცია, უმრავლესობა თუ არ დაიშალა, თუ პრემიერი არ გადადგა?!

**– თქვენ პროცესების განვითარების რა მოლოდინი გაქვთ?**

– მე იმაზე ვფიქრობ, რომ რამენაირად კონსტრუქციულ ტალღაზე იქნებ რამე გამოსავალი გვითხრან ჩვენმა პარტნიორებმა.

**– თქვენს ოპონენტებთან კონსტრუქციულ ტალღაზე დაბრუნების შანსი არსებობს?**

– კონსტრუქციულ ტალღაზე ყოველთვის გინდა იყო შენს ოპონენტთან კი არა, შენს თანამოქალაქესთან, რადგან ძალიან პატარა ქვეყანა ვართ და თითოეული ადამიანი შენთვის ძვირფასია, მაგრამ სამწუხაროდ, იმათ არ უნდათ შენთან კონსტრუქციული ურთიერთობა.

სიმართლე გითხრათ, ზოგჯერ გული მწყდება კიდეც, გამარჯობას რომ არ ამბობენ, გიყურებენ თვალებში და გამარჯობას არ გეუბნებიან. მე არ მაქვს მათ მიმართ არანაირი ზიზღი და პრეტენზია, მაგრამ თვალებში ვკითხულობ, რომ დღეს რომ ჰქონდეს საშუალება, ცოცხლად შეგჭამს ზოგიერთი. არ არის ეს სწორი. ერთი რამაა მთავარი: არავინ არ აპირებს ამ ქვეყნის დათმობას! ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა არის არჩევნები!

მთელი კოალიცია, ქალბატონი სალომეც გვერდში უდგათ თუ თავში, არ ვიცი, მივიდნენ არჩევნებზე და იმ შემთხვევაში, თუ ლეგიტიმურად ამ არჩევნებში გაიმარჯვებენ, გაიმარჯვებენ. ან ქუჩის გადაკეტვით ვის სჯიან?!

დღეს ხომ დისკომფორტს უქმნიან არა ხელისუფლებას, არამედ საკუთარ თანამოქალაქეებს. ესაა თურმე დემოკრატია, რომ მე აუცილებლად ისე ვიფიქრო, როგორც შენ ფიქრობ. ამერიკასა და ევროპაში, ერთი ექსპერიმენტი ჩაატარონ, წავიდნენ საფრანგეთში, ესპანეთში, ნიუ-იორკში და პოლიციელს ან შუა თითი აჩვენონ, ან შეაგინონ და მერე ვნახოთ, როგორ ევროპულად მიუდგებიან და ვნახავთ სხვაობასაც.

**- მძიმე შეფასებები ჰქონდათ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებსა და მათ მოკავშირე მედიასაშუალებებს საპოლიციო ძალების მოქმედებაზე...**

– ერთი მხრივ, როდესაც ხედავ რაღაც კადრებს, ადამიანი როდესაც დაზიანებულია, როგორ შეიძლება ეს მოგეწონოს, მაგრამ შენ ხომ არ იცი გამომწვევი მიზეზები?! იმის საპირისპირო პოლიციელი რა დღეშია, ჩვენ ხომ არ ვიცით? ამიტომაა საჭირო გამოძიება და არა ის, რომ სურათები აფრიალო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ რა ქნას ახლა, სურათები გამოფინოს?! ნამდვილად ცუდი საყურებელია, ასეთი დაზიანებებით ადამიანს რომ ხედავ, ჩემთვისაც და დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, მაგრამ გამომწვევი მიზეზი რა იყო, პოლიციამ მიაყენა დაზიანებები, როგორ, რა ვითარებაში, ამის გამოძიება მიმდინარეობს. ამისთვის შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, მიხედოს და ვნახოთ, რა დასკვნებს დადებს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ნებისმიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური იქნება თუ სიტყვიერი, ჩემთვის მიუღებელია, როგორც ერთ მხარეს, ისე მეორე მხარეს. მაგალითად, ერთ-ერთმა დეპუტატმა ჩამოთვალა ჟურნალისტების დაზიანებები და ერთი არ უხსენებია „იმედი“, „პოსტივი“ და სხვა ტელევიზიები. რატომ? უცხოპლანეტელები არიან?! გულწრფელი რომ იყო, ყველაფერი გააპროტესტე, რაც არასწორია, მერე ხალხი დაგიჯერებს, მაგრამ ალაგ-ალაგ რაღაცას რომ ხედავ და ალაგ-ალაგ თავს იბრმავებ, შენი გულწრფელობის არავის სჯერა. ხომ გაიძახიან ევროპა ევროპას, კიდევ ერთხელ ვამბობ, წავიდნენ, ექსპერიმენტი ჩაატარონ, მივიდნენ, პოლიციელს აფურთხონ და ვნახოთ, რით დამთავრება ეს ყველაფერი.

კიდევ ერთხელ, ბოდიში მინდა მოვუხადო საქართველოს პოლიციას, იმისთვის, რომ ჩვენი, პოლიტიკოსების გამო ასეთ არაადამიანურ რეჟიმში უწევთ მუშაობა.

პოლიციას დედას აგინებდნენ 24 საათი, მაგრამ ვიღაცა რომ ქუჩაში დახვდა, პირველი მერე თვითონ ყვიროდნენ, პოლიცია რატომ არ მოვიდაო და მერე თვითონ მიაკითხეს იმ პოლიციას.

**– როგორც თქვენ აღნიშნეთ, არჩევნებით უნდა გადაწყდეს ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის ბედი, თუმცა უკვე ერთიან სიაზეა საუბარი ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან, ეს პროცესი რას მოიტანს?**

– ჩვენ ნანახი გვაქვს ეს ყველაფერი, ერთიანი სია, ერთიანი ფრონტი, გაერთიანებები. იმდენი ამბიცია აქვს ზოგიერთ პოლიტიკოსს, რომ ეს პირველი ადგილი ერთია და იმ პირველ ადგილს 10 კაცი ვერ ჩაებღაუჭება და ამიტომაც მერე ეს ყველაფერი პრობლემაა. სიაში პირველი, მეორე, მესამე ვინ იქნება, ამისთვის იკლავენ თავს, თორემ იმისთვის კი არა, რომ ეს კანონი მართლა რუსულია. ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ. ამას არ გააკეთებენ, ვერ შეთანხმდებიან, აგერ თქვენ და აგერ მე.

სამწუხაროდ, ზოგადად სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კი არ ხდება პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა, ხელისუფლებაში მოსვლის, ან მერე ხელისუფლებისგან რაღაცის მოთხოვნის სურვილით ხდება პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება და როგორც წესი, ასეთი ერთობები არ მუშაობს.



ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი

**ჯემალ დავლიანიძე**

# ღვთისა და მამულისთვის თავშეწირული

**ზვიად გამსახურდიას გაგონებაც არ უნდოდა საქართველო რომელიმე ზესახელმწიფოს საბაზისო, ქვეყანა გამხდარიყო! პირიქით — მას სურდა, ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური, ეკონომიკური ურთიერთობა დაემყარებინა, რაც ძალიან ემგვანებოდა აღმოსავლეთის შვეიცარიას, ანუ ნეიტრალურ ქვეყანას!**

**მსოფლიო იმპერიები კი ყველაფერს მოითმენდნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გარდა!**



**როგორც იცით, შევარდნაძემ თავისი შტაბი რუსეთში განათავსა და იქიდან იძლეოდა სათანადო ინსტრუქციებს სამხედრო გადატრიალების მოსაწყობად. ამისი უმთავრესი მიზანი იყო — ქართველ ხალხს ღრმად ჩასჭედოდა გონებაში - რადგან შევარდნაძე მოსკოვშია, ესე იგი — ყოველივე უბედურება, რაც ამიერიდან დაგვატყდებოდა, მხოლოდ რუსეთს უნდა დაგრალებოდა!**

ზვიადმა ყოველივე იცოდა და ამიტომ კიდეც ჩქარობდა, როგორმე უნდა მოესწრო რეფერენდუმის ჩატარება!

უცხო ქვეყანათა სპეცაგენტურას სულმიყიდული ქართველობის თუ არაქართველობის ნაწილი წინ აღუდგა საქართველოს თავისუფლებას და გლობალიზაციის მესვეურთა მხარე დაიკავა.

და ამ შავბნელი ძალების საწინააღმდეგოდ ზვიადმა მოახერხა, უფრო კი მოასწრო საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება და მტრის ჯინაზე 1991 წ. 9 აპრილს დაასკვნა კიდეც:

**„მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმზე გამოხატული ქართველი ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რათა საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“.**

ეს გახლდათ სასტიკი, ბასრი ლახვარი ჩაცემული საქართველოს თითოეული მტრისადმი.

* * *

**ცნობილია,** რომ 1991 წელს საქართველოს, რა თქმა უნდა, სპეციალური მისიით, ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ეწვია. ზვიად გამსახურდიასთან საუბრისას იგი დაინტერესდა: რა ტიპის სახელმწიფოს შექმნას აპირებდა იმდროინდელი ხელისუფლება... კიდევ რის შესახებ შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი?

რაღა თქმა უნდა: ევროამერიკულ სივრცეებში ყოფნაზე, ნატოში გაწევრიანებაზე, რუსეთთან და აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყნებთან ურთიერთობაზე!

ზვიად გამსახურდიას კი გაგონებაც არ უნდოდა, საქართველო რომელიმე ზესახელმწიფოს საბაზისო ქვეყანა გამხდარიყო! პირიქით — მას სურდა, ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური, ეკონომიკური ურთიერთობა დაემყარებინა, რაც ძალიან ემგვანებოდა აღმოსავლეთის შვეიცარიას, ანუ ნეიტრალურ ქვეყანას!

მსოფლიოო იმპერიები კი ყველაფერს მოითმენდნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გარდა!

აი, რას პასუხობს ზვიადი კორესპონდენტს კითხვაზე:

***„— რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?***

**ზვიადი: — სახელმწიფოს სათავეში მოსულნი ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით...**

***კორესპონდენტი: რატომ ქმნიდით მაინც დამაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რისთვის სჭირდება ადამიანს ეროვნება თქვენი თვალსაზრისით?***

**ზვიადი: - სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად, ეროვნება არა აქვს ცხოველს. სარწმუნოება და ეროვნებაა ის ძირითადი თვისებები, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისაგან განასხვავებენ და მისთვის ამ თვისების წართმევა უმძიმესი დანაშაულია“.** (1992 წ. 14 ნოემბერი).

* * *

**მსურს,** შევეხო ერთ საკითხსაც. პიროვნებები, რომლებიც რუსეთის იმპერიას ანუ საბჭოეთს მხოლოდ ხმადაბლა ნათქვამი ანეკდოტებით ებრძოდნენ და ამის გამო ეროვნულობას იჩემებდნენ, ზვიადს გარემოცვის წევრთა არჩევას უწუნებდნენ.

ამ კითხვის პასუხად გაგაცნობთ 2002 წლის გაზეთ „ახალ თაობაში“ დაბეჭდილ ინტერვიუს გენერალ ლევან შარაშენიძესთან, რომელიც აიღო ჟურნალისტმა ზაზა ბაკაშვილმა...

ინტერვიუს შესავალშივე ვკითხულობთ: **„გამსახურდია მე დავამხე... მის თვითმფრინავს გამანადგურებლები დავადევნე, მაგრამ გროზნოში მაინც დასვეს!“**

ასე იქადნება გენერალ-ლეიტენანტი ლევან ლევანის ძე შარაშენიძე! — გვეუბნება ჟურნალისტი ზაზა ბაკაშვილი და აგრძელებს ინტერვიუს:

***„— ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა შორის რა მოტივით აღმოჩნდით?***

— 1990 წელს საქართველოში არეულ-დარეულობა დაიწყო, სახალხო ფრონტი ძალიან აქტიურობდა ხელისუფლების წინააღმდეგ... როცა ცკ-ს პირველ მდივნად გივი გუმბარიძე დანიშნეს, მე თადარიგში წასვლა მოვითხოვე,

დასაწყისი იხილეთ N60-ში



გენერალი ლევან შარაშენიძე

რადგან მაშინდელ დაპირისპირებებში არ მსურდა გავრეულიყავი. 1990 წელს თადარიგში გავედი. მაშინ 58 წლის გახლდით. ზვიად გამსახურდია პოპულარული ხდებოდა, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, დამღუპველ პოლიტიკას ატარებდა, რის გამოც მას ოპოზიცია დაუპირისპირდა. 1992 წლის 3 იანვარს თენგიზ სიგუამ, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემ, დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბა. ოპოზიციის სამართავი პუნქტი სასტუმრო „თბილისი“ იყო. როცა ჯაბა იოსელიანი ციხიდან გამოვუშვით, მხედრიონელებმა ძალიან გააძლიერეს ის პატარა სამხედრო დაჯგუფებები, რომლებიც გამსახურდიას ებრძოდნენ. ბრძოლები ქუჩებში გრძელდებოდა. პროცესები უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა. თენგიზ კიტოვანი თბილისის ზღვიდან ჩამოსული 140 კაცით იბრძოდა. ჯაბამ კი იგი 400 მებრძოლით გააძლიერა. სხვათა შორის, ჯაბა კარგი მეომარია, გმირული სულის. როგორც რაინდს და ვაჟკაცს, დიდ პატივს ვცემ.

***— სიგუას დროებით მთავრობაში დაინიშნეთ თავდაცვის მინისტრად?***

— დიახ, მაგრამ ვუთხარი, რომ მათთან თანამშრომლობა გამიჭირდებოდა.

მხედრიონს ჯაბა მართავდა, გვარდიას კიტოვანი, მე კი სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბების საშუალება არ მეძლეოდა, რითაც სტრუქტურის გაძლიერება უნდა დამეწყო რუსი ინსტრუქტორების დახმარებით. შაპოშნიკოვი რომ ოც ერთეულ ტექნიკას მომცემდა, ნახევარი ჯაბას მიჰქონდა, ნახევარი კიტოვანს და თავიანთ რაზმებს აძლიერებდნენ. მე კი თავდაცვის მინისტრი მერქვა. ამიტომ 1992 წლის 4 მაისს დროებით მთავრობაში დავსვი საკითხი, რომ თანამდებობიდან წავსულიყავი. მანამდე კი გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის და მისი თბილისიდან განდევნის უშუალო მონაწილე გახლდით. ეს ასე მოხდა: 1991 წლის 31 იანვარს ჩვენ მას „ვეჩე“ კავშირი გადავუჭერით. ამისათვის სუკ-ში სპეციალისტი მოვძებნე ოთარ ხატიაშვილის დახმარებით. ვერაფრით მივაგენით იმ ჭას, სადაც ის კაბელი იყო გაყვანილი, რომლითაც გამსახურდია კონტაქტს ამყარებდა თავის მებრძოლებთან. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ჭა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე საქართველოს კომისარიატის პირდაპირ ყოფილა. როგორც გითხარით, უთენია სპეციალისტი ჩემი მანქანით გავიყვანე და ეს კაბელი გადავაჭრევინე. ჯერ ინაურის შეწუხება გადავწყვიტე ამ საქმისთვის, მაგრამ პანტელეიმონ გიორგაძემ მითხრა — შეუძლოდ არის ბატონი ალექსი და ნუ შევაწუხებთო. კაბელი გადავჭერით და გამსახურდიას პოზიციებიც შესუსტდა. ბატონ ზვიადთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით. გადაწყდა, რომ დროებით თურქეთში უნდა გადასულიყო. ბათუმამდე თენგიზ სიგუა გააცილებდა. შემდეგ გამსახურდიამ ეს გეგმა უარყო და სომხეთში, იჯევანში წასვლა დააპირა. 6 იანვარს ზვიად გამსახურდიას თბილისიდან გასასვლელად დერეფანი მივეცით. წითელ ხიდამდე იგი გივი კვანტალიანს უნდა გაეცილებინა. მან დააგვიანა და არ მივიდა მთავრობის სახლში თავის დროზე. გამსახურდია თავისი რაზმით გზას გაუდგა, ოღონდ აზერბაიჯანისკენ. გივი კვანტალიანს ძალიან მკაცრად დაველაპარაკე, მახსოვს, „სტეჩკინიც“ კი ამოვიღე. ვუთხარი, შუბლს გაგიხვრეტ-მეთქი.

***— იეჭვეთ, რომ კვანტალიანს გეგმის ჩაშლა სურდა?***

— დიახ, ვიეჭვე. ამასობაში ბატონ ზვიადს მუთალიბოვთან დაკავშირება სურდა, რათა თვითმფრინავი ეთხოვა გროზნოში გასაფრენად. მუთალიბოვი მასთან კავშირზე არ გავიდა. კიროვაბადიდან დაგვირეკეს და გვითხრეს, გამსახურდია ჩვენთან არის, ვასადილებთ, დავასვენებთ და უკან დავაბრუნებთო.გამსახურდია იქ 13 იანვრამდე იყო. მე, სიგუა, კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი ერთად ვიყავით, როცა ინფორმაცია მივიღეთ იმის თაობაზე, რომ გამსახურდია ერევნის ზვარტნოცის აეროპორტშია და გროზნოში გადასაფრენად ემზადება. მისი პილოტი ზაურ ბედია იყო, კარგი კაცი და კარგი მფრინავი. ამ დროს სომხეთის თავდაცვის მინისტრს ვუკავშირდები, მემალება. სიგუა ტერ-პეტროსიანთან ვერ გადის კავშირზე. მაშინ მარშალ შაპოშნიკოვს ვუკავშირდები, რომელიც მეუბნება: გამსახურდიას გროზნოში გადაფრენის საშუალება არავითარ შემთხვევაში არ მისცეთო. მან ისიც მითხრა, რომ საჭიროებისათვის გუდაუთაში ჩემს განკარგულებაში გამანადგურებლების ესკადრილია იქნებოდა. გამსახურდია აფრინდა, მე კი ორი გამანადგურებელი ავაფრინე. ჰაერსაწინააღმდეგო ჯარების სარდალი პრუდნიკოვი მირეკავს და გვთხოვს, გამსახურდიას თვითმფრინავი ისე დასვით ვაზიანში, ცეცხლს ნუ გაუხსნითო.

***— აპირებდით, ცეცხლი გაგეხსნათ?***

— იდიოტები კი არ ვიყავით, ცეცხლი გაგვეხსნა. ბედიამ კურსი გროზნოსკენ აიღო და გამსახურდია გროზნოში დასვა.

***— გამსახურდიას ზუგდიდში დაბრუნების შემთხვევაში მისი ლიკვიდაცია გქონდათ დაგეგმილი?***

— რაღაცას მოვიფიქრებდით, ოღონდ არავითარ შემთხვევაში მის განადგურებას.

ერთი კი ვიცოდით, რომ დუდაევთან გადაფრენის საშუალებას არ მივცემდით. ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს, მისი დაბრუნების შემთხვევაში რა იგეგმებოდა.

***— ბატონო ლევან, დღესაც მუსირებს აზრი, რომ ოპოზიციას გამსახურდიასთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში რუსი სამხედროები ეხმარებოდნენ, რომ თენგიზ კიტოვანი რუსული მძიმე ტექნიკით ძლიერდებოდა. თქვენ ამას დაადასტურებთ?***

— მე, როგორც საბჭოთა არმიის გენერალი, ზომებს ვიღებდი იმისათვის, რომ გამსახურდიასთან დაპირისპირებული შეიარაღებული ფორმირებები მაქსიმალურად მომემარაგებინა იარაღით. ამისთვის რუსი გენერლები ჩემს ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ, ვითხოვდი და მაძლევდნენ. ამას მე არ ვმალავ. ბეპაევი და გენერალი გრეკოვი უშუალოდ ამით იყვნენ დაკავებული. ამ ყველაფერს კი სოხუმიდან პატრიკეევი აკონტროლებდა. ეს უკვე ის პერიოდი იყო, როცა რუსეთი ჩვენზე იყო ორიენტირებული და არა გამსახურდიაზე. რუსეთი იარაღსაც გვაძლევდა და ტექნიკასაც. რუსების მიერ მოცემული ორი „ჰაუბიცა“ მთავრობის სახლის წინ მუშაობდა, თუმცა იქიდანაც გვირტყამდნენ.

***— ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან მართავდა ოპოზიციას?***

— მე ამას ვერ ვიტყვი. მაშინ ძალიან ბევრი თვლიდა, რომ შევარდნაძის ავტორიტეტი და გამოცდილება საქართველოს სჭირდება და მისი ჩამოსვლა იყო საჭირო. ამას გვეუბნებოდნენ მოსკოვშიც, ზურაბ წერეთლის სახლში შეკრებილი ქართველები.

***— შევარდნაძე პერიოდულად საუბრობს იმის შესახებ, რომ საქართველოდან ჩასული ინტელიგენციის წარმომადგენლები მასთან მიდიოდნენ და საქართველოში დაბრუნებას სთხოვდნენ. არა მგონია თქვენ გამონაკლისი ყოფილიყავით.***

— ასეც იყო. 1992 წლის 14 თებერვალს სამიტამდე ბატონ ედუარდს მოსკოვში ვესტუმრე. ვისაუბრეთ მისი საქართველოში დაბრუნებაზე...

***— შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ მინისტრად კიდევ რამდენი ხანი იმუშავეთ?***

— ორი თვე. როგორც საუბრის დასაწყისში გითხარით, ძალოვან სტრუქტურებს ფაქტობრივად ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი მართავდნენ. ბატონ ედუარდს თუ შევხვდებოდი, კიტოვანი მეტყოდა, შევარდნაძესთან რას დარბიხარო. ფაქტობრივად მითვალთვალებდნენ, რადგან საბჭოთა არმიის გენერალი ვიყავი მე ახლაც რუსეთის ორიენტაციის ვარ და ამას არც ვმალავ.

***— იმის ინფორმაცია არ გაქვთ, ჯარების აფხაზეთის სიღრმეში გადაადგილება ვისი ბრძანებით შეჩერდა?***

— არ ვიცი.

***— მაშინ ყველაზე ძალიან აფხაზეთში შესვლის იდეას მხარს კიტოვანი უჭერდა. როგორ შეაფასებდით მის საბრძოლო მონაცემებს?***

— კიტოვანს უყვარს სამხედრო სფერო, ალღო აქვს, მამაციცაა და ღიმილიანი, მაგრამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. პროფესიონალ სამხედროს ვერ ვუწოდებ, ისე კი, ბრძოლა შეუძლია. ჩვენც ვიყავით აფხაზეთში, პროფესიონალი სამხედროები, მერე რა გავაკეთეთ?! ვერაფერი. როცა არძინბამ სოჭის ხელშეკრულება დაარღვია, თავდაცვის მინისტრი ყარყარაშვილი, მე, მისი მოადგილე, ნიკუშა კეკელიძე და თამაზ დუმბაძე მოსკოვში გრაჩოვს შევხვდით. 16 სექტემბერს ყარყარაშვილმა მოსკოვში დამტოვა, რათა მოგვემზადებინა რუსეთის ჯარების დისლოკაციის სტატუსი. ამ საბუთს მე და გენერალი გალკინი ვამზადებდით. ამ საბუთის საფუძველზე ბალტინი არ დაუშვებდა ქობალიას ჯარების თბილისისკენ წასვლას. 16 სექტემბერს ჩვენი ელჩი რუსეთში — ადვაძე მირეკავს და მეუბნება, ახლავე დაუკავშირდი შევარდნაძესო, რაც გავაკეთე. შევარდნაძემ მითხრა: სასწრაფოდ გრაჩოვს შეხვდი და სთხოვე, არძინბას სოჭის ხელშეკრულების გარანტიები განახორციელებინოსო. ამ დროს გრაჩოვი კლინიკაში იწვა. კენჭის გავლა ჰქონდა. მასთან მაინც მივედი, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

გაგრძელება იქნება

# გიზო ზარნაძის წუთისოფელი



**90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიზო გრიგოლის ძე ზარნაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

ძვირფასო ბატონო გიზო!

ჩვენო საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ღვაწლმოსილ, ამაგდარ, მხცოვან შემოქმედს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 90 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 65 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1959 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა თქვენი იუმორისტული მინიატიურები.

მართლაც რომ მრავალმხრივი შემოქმედი ხართ. თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურული წერილები, პაროდიები, იუმორისტული ჩანახატები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი და სალიტერატურო კრიტიკა მოწონებით შეხვდნენ თქვენს ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „ტატიაშო“, „ზეიკა მაკონიკო“, „ჩემი ყავარჯნიანი მამა“. ამ უკანასკნელმა წიგნმა გაიმარჯვა გამომცემლობა „ნაკადულის“ კონკურსში და სრულიად ახალგაზრდა დამწყებ ლიტერატორს დამსახურებული აღიარება მოგიტანათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს თქვენი მეტად საინტერესო და საგულისხმო წიგნი „ჩემი წუთისოფელი“, რომელიც ერთი მშვენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, მისი გმირული წარსული, ის დიდი ქართველები, რომლებმაც საკუთარი მხრებით ატარეს ჩვენი საესავი სამშობლო და დღევანდლამდე მოიყვანეს.

„ასეთიც იყო ოტია“ – ეს ჩინებული წიგნი ოტია იოსელიანს მიუძღვენით, ამ დიდებულ შემოქმედსა და პიროვნებას და მასში მთელი თქვენი სიყვარული და პატივისცემა ჩააქსოვეთ მისადმი. იქნებ, სწორედ ამიტომ, თქვენი მრავალწლიანი მეგობრობის გამო ოტია იოსელიანთან, მეგობრებმა მისი ეკერმანი დაგარქვეს.

ჩინებული მთარგმნელი ბრძანდებით. თქვენი მთარგმნელობითი ძალმოსილების ნიმუშია მიხეილ ზოშჩენკოს („სიკვდილზე ძლიერი“, „იუმორისტული მოთხრობები“), ფაზილ ისკანდერის („ლარბა“), ვასილ აქსიონოვის („ააწყვე, მამიკო“), ირინა გრეკოვას („შესასვლელს მიღმა“) ნაწარმოებთა თარგმანები. ქართველი ყმაწვილები კი მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობიან ლიტვური ზღაპრების თქვენეულ თარგმანებს.

სხვადასხვა დროს მუშაობდით მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასში, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა განყოფილების გამგედ და რედაქტორად, ჟურნალ „ნიანგის“ კორესპონდენტად და ყველგან ცხოვრებას უმსუბუქებდით თანამშრომლებს, სიკეთესა და მადლს თესავდით.

თქვენი მრავალწლიანი შემოქმედებითი საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ გალაკტიონ ტაბიძისა და ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიებით. ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისთვის მონიჭებული გაქვთ ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი.

კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს ქართული მწერლობის სამსახურში უანგაროდ დახარჯულ თანამოკალმეს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი ოცნებების განხორციელებას გისურვებთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

## ის დაუვიწყარი ოქტომბერი...

**1964 წლის** შემოდგომაზე თბილისის პიონერთა სასახლემ ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკური კონკურსი ჩაატარა, რომლის გამარჯვებულთა შორის მეც აღმოვჩნდი. გადმომცეს შესაბამისი დიპლომი, წარმატებები მისურვეს და სამომავლო გზა დამილოცეს. საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ ლაურეატებთან რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტი მოვიდა და გამარჯვებული ტექსტების ეთერში წაკითხვა შემოგვთავაზა. რადიოს რედაქცია პიონერთა სასახლიდან ორ ნაბიჯზე, კავშირგაბმულობის სახლში აღმოჩნდა. კორესპონდენტი გზად გაგვეცნო, გიზო მქვია, გვარად ზარნაძე ვარ, ჟურნალისტიკის განყოფილების მესამე კურსზე ვსწავლობ, რადიოში კი პრაქტიკაზე ვიმყოფებიო. პრაქტიკანტი სტუდენტურ ასაკს გვარიანად გადაცილებული ჩანდა, მაგრამ ამისთვის მაშინ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. კეთილი შურის საგანი ის იყო, რომ მას უკვე გადალახული ჰქონდა ჩემთვის საოცნებო ბარიერი (მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვიყავი და თვითონაც ჟურნალისტიკაზე ვაპირებდი ჩაბარებას). რადიოში რამდენიმე ლექსი წამაკითხეს და თქვეს: ახლა ტელევიზიაში უნდა წავიდეთო. ჩაგვსვეს მანქანაში და ხვეული გზებით მთაწმინდაზე, პირდაპირ სატელევიზიო ანძის ქვეშ მდებარე შენობაში შეგვიყვანეს.

საქართველოს ტელევიზია, რომელიც მაშინ ათი წლისაც არ იყო, შეიძლება ითქვას, პირველ ნაბიჯებს დგამდა. სულ ერთი არხი ჰქონდა და ვისაც ტელევიზორი ედგა, ნიადაგ მას მისჩერებოდა. ჩვენთან ტელევიზორი ორ თუ სამ ოჯახს ჰქონდა და ვიმედოვნებდი, რომ ჩემს გამოსვლას ვინმე მაინც ნახავდა. გუმანი არ გამცუდებია, ვუნახივართ და მთელი სოფლისთვისაც უხარებიათ. შინ ნამდვილი გმირივით დავბრუნდი. მომავალ წელს თვითონაც გავხდი ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი და იქ ისევ შევხვდი ჩემს შემოქმედებით ნათლიას, რომელმაც პირველად დამაყენა მიკროფონის წინ და მომავალი პროფესიისკენ რეალური ნაბიჯი გადამადგმევინა. მალე სტუდენტთა ალმანახ „პირველ სხივში“ ერთად დაიბეჭდა ჩვენი ტექსტები და მე გულში მიხაროდა, რომ ჩვენ უკვე კოლეგები გვეთქმოდა. მგონი, ბოლო კურსზე იყო, როცა ვრცელი მოთხრობა „ჩემი ყავარჯნიანი მამა“ გამოსცა ცალკე წიგნად და ჩვენი, უმცროსკურსელების თვალში უკვე პროფესიონალ მწერლად წარმოჩინდა.

მალე მე ორწლიანი მივლინებით კიევში გავემგზავრე, რომელიც უვადო გამოდგა და შემდგომ არ მქონია შესაძლებლობა, მუდმივად მედევნებინა თვალი გიზოს შემოქმედებითი საქმიანობისთვის, თუმცა საქართველოში ჩამოსულს ხშირად მინახავს და მომისმენია მისი საინტერესო ტელე და რადიოგადაცემები. თვალის დახამხამებაში გაირბინა სამოცმა წელიწადმა, უკვე რამდენი რამე მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, რამდენი ეთერი და პუბლიკაცია გვქონია, რამდენი წიგნი გამოგვიცია, მაგრამ ის შორეული ოქტომბერი ხსოვნაში სამუდამოდ დარჩა. ახლახან გაირკვა, რომ იგი ხსომებია გიზო ზარნაძესაც, ამჟამად ღვაწლმოსილ ჟურნალისტსა და მწერალს, რაც ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა. ვულოცავ ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს სახელოვან იუბილეს და ვუსურვებ, კვლავაც დიდხანს ელვაწოს ჩვენი მშობლიური მწერლობის საკეთილდღეოდ.

**რაულ ჩილაჩავა,**
**მწერალი, აკადემიკოსი, დიპლომატი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი**

## „კაცი სავსე და ვარგებული“

**რა** არ ვნახე! ახალგაზრდა კაცი, ახლობლის ღალატისგან გულდაკოდილი, უსასოების უფსკრულიდან გიზო ზარნაძემ ამომიყვანა და სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა...

მამაჩემი, ტკივილებისგან გულშეწუხებული, გიზომ და მისმა უსათნოესმა მეუღლემ ლიამ, მამაპაპისეული ადათით, პურ-ღვინით მოინახულეს; ავადმყოფი კაცი გულში ჩაიკრეს...

მერე მამაჩემი მეუბნება, შვილო, ეს რა ოჯახი ყოფილა, მოვრჩი, აღარაფერი მტკივაო!

ერთხელ ოტიამ მითხრა, იოსელიანმა, ჩვენი გიზო სუფთა გულის, სუფთა სულის კაცია, ჩემო ერეკლეო, შენი თავიც ხომ მაგან გამაცნოო.

დაბადების დღეს გილოცავ, ძმაო, უფალმა დაგლოცოს, ჩვენო გიზო, დიდებულო შემოქმედო, კაცობის, მამულიშვილობის სახე-ხატო, პროზაიკოსო, ესეისტო, მთარგმნელო, ჟურნალისტო, ახალგაზრდების მწერლობაში ხელწამკრავო!

„მძლავრობდე უფლით“!

**შენი ირაკლი „ვახტანგ“ ვაშაყმაძე**

**ამ წიგნის** ავტორს სტუდენტობიდან ვიცნობ და ათწლეულების მანძილზე თვალს ვადევნებ მის მწერლურსა და წარმატებულ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თუ რადიო-ტელევიზიის გადაცემებში. ამჟამად კი ჩვენს ხელთ არის მისი ესსეების წიგნი, რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ განსახილველ საკითხთა ღრმად პროფესიული ცოდნით, არამედ დიდი სიყვარულითა და სიხარულით, რაც ესოდენ გაიშვიათებულია ჩვენს ბოღმა-ღვარძლიანი ქილიკით დამუხტულ ხანაში.

წიგნის თითქმის ნახევარი ეთმობა დიდი გალაკტიონისა და მისი უსაყვარლესი მეუღლის, ქ-ნ ოლია

## სიხარული „სხვისა კეთილსა ზედა“

ოკუჯავას ტრაგიკული სიტუაციებით აღსავსე სიყვარულის ისტორიას.

მე მიჭირს კიდეც იმ სტილის განსაზღვრა, რომლითაც არის დაწერილი ეს უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ-ისტორიული ესსე, რომელშიც რელიეფურად იკვეთება მთელი ეპოქის შემზარავი სურათი.

წიგნის მეორე ნახევარი ეთმობა თანამედროვე ქართული მწერლობის აწგარდაცვლილსა თუ ცოცხალ წარმომადგენლებს, რომლებთანაც ავტორს პირადი ნაცნობობა თუ მეგობრობაც აკავშირებდა, ამდენად,იგი ხშირ შემთხვევაში თავადვე გვევლინება ერთ-ერთ მოქმედ პირად, მწერლის თანამოსაუბრედ, რაც მის თხრობას, ობიექტურობის პარალელურად, გარკვეულ ინტიმურ სითბოსაც ჰმატებს.

დარწმუნებული ვარ, მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა გიზო ზარნაძის ამ წიგნს, რომელიც სავსებით ამართლებს მის თავში წამძღვარებულ საბას პერიფრაზს. ეს წიგნი მართლაც გახლავთ „სიხარული სხვისა კეთილსა ზედა“.

**ვახუშტი კოტეტიშვილი**
**2004 წ.**

## გულოცავთ!

**ჩვენს** უფროს მეგობარს, შესანიშნავ მწერალს, მთარგმნელს, ლიტერატორს, მოღვაწეს – გიზო ზარნაძეს ვულოცავთ 90 წლის იუბილეს!..

ეს 90 წელი ღვაწლმოსილი მწერლისთვის იყო ღირსებით, მამულის, მწერლობის მსახურებით გამოვლილი გზა!..

ამ გზაზე იყო სიხარულიც, წარმატებებიც, იყო ტკივილიც, მაგრამ, რაც მთავარია, იყო სამშობლოს სიყვარული და ერთგულება!..

გიზო ზარნაძეს მე ბავშვობის წლებიდან ვიცნობ, როცა ხევსურეთიდან, ბარისახოს სკოლაში სწავლის დროს, თბილისში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ჩამოვყავდით ბავშვები და ჩემი ხევსური მეგობრები, ხევსურული ტალავრით, წელზე ხანჯლით და ჩვენი მხურვალე ბავშვური ლექსებით ყველას ყურადღებას ვიქცევდით...

იმ დროს გიზო ზარნაძე საქართველოს რადიოს ახალგაზრდულ რედაქციაში მუშაობდა და მან ჩემგან პირველი ინტერვიუ აიღო, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო...

ასე დაიწყო ჩემი მეგობრობა მასთან...

სკოლის პერიოდშივე ბატონ გიზოს ხევსურეთიდან წერილებს და ჩემს ლექსებს ვუგზავნიდი, რაზეც თვითონაც თბილად მპასუხობდა, დარიგებებს და შენიშვნებს მაძლევდა...

გიზო ზარნაძეს ჩემთვის ყურადღება არც მერე მოუკლია და ყველა ჩემს ახალ პუბლიკაციაზე, წიგნზე თავის სითბოს გამოხატავდა და აზრს მიზიარებდა...

გიზოს ლამაზ ოჯახშიც ხშირად ვყოფილვარ, სადაც მისი სათნო, გულისხმიერი და დიდებული მეუღლე ლია არაბიძე გამორჩეულად გვმასპინძლობდა.

შემდგომში მეც ვეცადე, მისგან გადამეღო ეს თვისება და ჩემი სხვადასხვა სამსახურში ყოფნის დროს, იქნებოდა ახალგაზრდული ჟურნალი „ნობათის“ რედაქტორობა, ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიის განყოფილების ხელმძღვანელობა თუ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორობა, ყოველთვის ვცდილობდი, რომ განსაკუთრებული ყურადღება დამეთმო ახალგაზრდა მწერლებისთვის, ხელი შემეწყო მათი დაოსტატებისა და დაბეჭდვისთვის!... ასეა დღესაც, როცა საქართველოს მწერალთა კავშირში ვმუშაობ... ეს ყველაფერი გიზო ზარნაძის დამსახურებაა!..

მაშ, გაუმარჯოს 90 წლის უბერებელ გიზო ზარნაძეს!

დღეგრძელობა და მხნეობა ვუსურვოთ მას!..

ღმერთმა დაიფაროს და გააძლიეროს!..

წინ მისი 100 წლის იუბილე გველოდება!..

**გალათერ არაგული,**
**საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე**

## ჩემო გიზო!

**ერთმანეთს** როცა „ჩემოთი“ მიმართავენ, გული მთქმელსაც და ადრესატსაც ერთანაირად უთბებათ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ ეს სიტყვა ორმხრივ სიყვარულზეა ნერგივით ამოზრდილი.

რამდენი წელიწადია ამ „ნერგს“ ვასაზრდოვებთ, ვუმყუდროვებთ „ავი თვალი“ რომ არ ეცეს.

ეს ისე, სხვათა შორის, თორემ რაღა დროს „კუდიანების“ ფეხის ხმის აყოლაა.

ჩვენი ურთიერთობის სიმტკიცე დრომ გამოსცადა და არა მგონია „ეგზამენები“ ცუდად დაგვეჭიროს.

გილოცავ!

უფალმა კიდევ ერთი წელიწადი შემატა შენი სიცოცხლის ყულაბას და, მჯერა, უშრეტი ლიტერატურული ენერგიის მქონე, ფხიზელ შემოქმედს, კიდევ დიდხანს, მოწყალე თვალს არ მოგაცილებს.

რამდენიმე წლით ადრე ერთ-ერთი კლინიკის პალატიდან მოგწერე:

„მოხრილო და თავდახრილო,
მაინც ცქვიტო, კალმახა,
ვინ იცის, რომ გიზო, მაინც
აშოლტილი ალვა ხარ!
ნაცნობ-უცნობს თვალს რომ უბამ
მაგ სიბერის ნიღაბით –
აბა, შენზე გამართული
ამ ქალაქში ვინ დადის!

ახლა კი, ბოლო ხანებში, ჩვენი ნერვების ამწეწ და გულის გამაწვრილებელ „აქციებს“ ჩემი „ხმაც“ შევუერთე და ეს სტრიქონები მოგიძღვენი:

„ო, შე „რუსეთუმე“, მითხარი, რად გიყვარს
იმერული ჭადით რუსული „გრეჩიხა“,
ასწლიან „სასჯელს“ ხომ ისედაც მოიხდი,
ისეთი მზრუნველი ქალების ხელში ხარ!
ვინ თქვა, რომ ბერდები უბრალოდ, ღვთის ნებით,
სიცოცხლის თაყვანის საცემად იხრები!

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ მომავალი დაბადების დღეებისთვის გადავდოთ.

მადლობა, შენმა ერთგულებამ ასე მომართვის უფლება რომ მომცა: – ჩემო გიზო!

**ვანო ჩხიკვაძე**




# ლევილში ქართული ფესტივალი გრძელდება

**ლევილის** ისტორიული მამული ქართული ხელოვნებისა და კულტურისადმი მიძღვნილ ფესტივალს უკვე მეორედ მასპინძლობს. ფესტივალი ტარდება კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით

ფესტივალის გახსნას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, ლევილის მერი ერიკ ბრევი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ფესტივალი 24 მაისიდან 14 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება საქართველოდან ემიგრირებული მთავრობის მიერ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში შეძენილ მამულში, რომელიც საქართველოს საკუთრებად 2016 წელს გადმოეცა. საფესტივალო ღონისძიებები ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება.

ფესტივალზე დაგეგმილ ღონისძიებებზე დასწრება ყველა მსურველისთვის უფასოა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამული 2016 წელს, 25-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გელა დუმბაძისა და იუსტიციის მაშინდელი მინისტრის თეა წულუკიანის, ძალისხმევის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა.



ჭადრაკის დედოფალმა ნონა გაფრინდაშვილმა ლევილში ერთდროული სეანსები გამართა

## თეა წულუკიანი: პრეზიდენტს ლევილიც კი დაავიწყდა!

**სამწუხაროა**, რომ საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც დღეს თავისუფლების მოედანზე თავისი ბოლო სიმღერა სამარცხვინოდ შეასრულა (ეს იყო, მადლობა ღმერთს, მისი ბოლო გამოსვლა ამ რანგში) დაავიწყდა ის, რომ არსებობს ლევილი, დაავიწყდა, რომ ლევილში დღეს პირველად იმართება და აღინიშნება სახელმწიფოს მიერ ის 26 მაისი, რომლისთვისაც ნოე რამიშვილმა, ასევე ნოე ჟორდანიამ და მთელმა მაშინდელმა მთავრობამ ბევრი იღვაწეს, ამის შესახებ საქართველოს კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

„ამ დღეს მინდა თითოეულ ჯარისკაცს და ჩვენი ქვეყნისთვის დაღუპულებს მივაგო პატივი. მადლობა ვუთხრა მათ ოჯახებს. ამასთან, მინდა წარმატებები ვუსურვო ყველა იმ ახალწვეულს, რომელმაც დღეს ფიცი დადო და ვუსურვო ჩვენს ჯარს მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება. გილოცავთ 26 მაისს და გისურვებთ, რომ ბევრი 26 მაისი გვზეიმოთ თქვენს ოჯახებთან ერთად“!..

**ლევილიდან,**
**2024 წლის 26 მაისი**






# ივლისში დედაქალაქში 50 საბავშვო ბაღი იმუშავებს

**თბილისის** მერის კახა კალაძის განცხადებით, ივლისის თვეში დედაქალაქში 50 საბავშვო ბაგა-ბაღი იმუშავებს და ბაღების თანამშრომლები გაორმაგებულ ხელფასს მიიღებენ. 50 საბავშვო ბაღი 18 000-მდე აღსაზრდელს მოემსახურება.

„საზაფხულო ბაღებში რეგისტრაცია ელექტრონულად წარიმართება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებგვერდზე **kids.org.ge.** რეგისტრაცია დაიწყება 5 ივნისს, 10:00 საათიდან და გაგრძელდება ივნისის ბოლომდე.

ბაღებში ჩაირიცხებიან თბილისში რეგისტრირებული, 2-დან 6 წლამდე ასაკის აღსაზრდელები, მათ შორის ისინიც, ვინც სექტემბერში სკოლებში მიდიან. საზაფხულო ბაღების მომსახურებაზე მოთხოვნა დედაქალაქში საკმაოდ მაღალია, რადგან დასაქმებულ თბილისელთა დიდი ნაწილი ივლისში ქალაქიდან გასვლას ვერ ახერხებს.

ამასთან, პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღებში დასაქმებული თანამშრომლებისთვის, რადგან ისინი საზაფხულო ბაღებში მუშაობისათვის გაორმაგებულ ანაზღაურებას მიიღებენ. წელს 50 საბავშვო ბაღში 3100-მდე თანამშრომელი იმუშავებს.

საბავშვო ბაღები შერჩეულია გეოგრაფიული პრინციპით, რათა თბილისის ყველა უბნის მცხოვრებლებისათვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი აღნიშნული მომსახურება.

პროექტი 2024 წლის ბიუჯეტიდან 6 მილიონამდე ლარით დაფინანსდება. საზაფხულო ბაღების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებგვერდზე **www.kids.org.ge** “

# თბილისის მერია ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამას 100%-ით აფინანსებს



**თბილისის** მერიის ტრანსპლანტაციის პროგრამის ფარგლებში ღვიძლისა და ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) გადანერგვა სრულად, 100%-ით ფინანსდება.

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, პროგრამის ფარგლებში, ერთი პაციენტისთვის 120 000 ლარი გამოიყოფა, ადრე კი აღნიშნული მკურნალობა მხოლოდ 70 000 ლარით ფინანსდებოდა.

„თბილისის მერიის ტრანსპლანტაციის პროგრამის ფარგლებში ღვიძლისა და ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) გადანერგვა ფინანსდება. ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური აფინანსებს გადანერგვის წინა კვლევებს, მაღალდოზირებულ ქიმიოთერაპიას, სამი სახის ტრანსპლანტაციას (აუტოლოგიური, ალოგენური, ჰაპლოიდენტური) და გადანერგვის შემდგომი პერიოდის მართვის პროცესს. თბილისის მერიას ერთი პაციენტის დასაფინანსებლად, 10-დან 235 ათას ლარამდე თანხა აქვს გათვალისწინებული. პროგრამის დაწყებიდან (2015 წელი) დღემდე, 1 074 შემთხვევა დაფინანსდა, რისთვისაც საქართველოსა და უცხოეთის კლინიკებში 60 მილიონ ლარამდე თანხა გადაირიცხა. რაც შეეხება ღვიძლის ტრანსპლანტაციას, აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება გაიზარდა და სრულად, 100%-ით ფინანსდება. ადრე ფინანსდებოდა 70 000 ლარით, დანარჩენს პაციენტი აფინანსებდა, რაც ძალიან მძიმე დატვირთვა იყო ოჯახებისთვის – არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ თუნდაც ის ნაწილი გადაეხადათ. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული მიმართულება 100%-ით დავაფინანსოთ. პროგრამის დაწყებიდან დღემდე, საქართველოში ღვიძლის გადანერგვის 45 შემთხვევა დაფინანსდა და ამისთვის, მერიამ 3 155 000 ლარი დახარჯა. მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში ყველას თანადგომა გამოვუცხადოთ,“ – დასძინა თბილისის მერმა.

# ირღვევა თუ არა Facebook-სა და Instagram-ზე არასრულწლოვანთა უფლებები

**ევროკომისიამ** დაიწყო **Meta**-ს შემოწმება, რათა დაადგინოს, ირღვევა თუ არა **Facebook**-ისა და **Instagram**-ზე არასრულწლოვანთა უფლებები.

„დაწყებულია ოფიციალური მოკვლევა, რათა დადგინდეს, არღვევდა თუ არა კომპანია **Meta** ციფრული მომსახურების შესახებ კანონს არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ საკითხებში“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ევროკომისიაში აცხადებენ, რომ **Facebook**-ი და **Instagram**-ი შესაძლოა იყენებდნენ არასრულწლოვანი მომხმარებლების სისუსტეებსა და გამოუცდელობას, რათა მათში მიჩვევა გამოიწვიონ.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია შესწავლილი იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ ბავშვების უფლებების შესაძლო დარღვევის რისკები. ევროკომისიაში ასევე ამბობენ, რომ **Meta**-ს მიერ მომხმარებელთა ასაკის შემოწმების მეთოდები ასევე შესაძლოა არაეფექტური იყოს.

# დავიცვათ ეროვნული ფასეულობები!

## სასაცილოა მოწოდებები: „ევროპა ჩვენი სახლია“! „არა რუსულ კანონს“!

**ამ დღეებში ქუჩაში გასულ საღად მოაზროვნე ქართველს უმალ შიში შეიპყრობს, როდესაც იხილავს სახეამღვრეულ და მოცინარე ახალგაზრდების გაუთავებელ მსვლელობას რუსთაველის გამზირსა და სხვა ქუჩებზე. მაგრამ შიშიც არის და შიშიც. „შიშის მეშვეობით ვნებებისგან განწმენდა (Katharsis)“ – ასეთ დანიშნულებას ანიჭებს ტრაგედიას არისტოტელე თავის „პოეტიკაში“. რა თქმა უნდა, ასეთ შიშზე არ ვლაპარაკობ. აქ საუბარია ისეთ შიშზე, რომელიც შიშთან ერთად გაკვირვებასაც შეიცავს, როდესაც ლამაზი პირისახე ურჩხულის ნიღაბს აიფარებს და ისე შემოგხედავს, რომ ძრწოლა გიპყრობს. ასეთი შიში მეუფლება ამ ახალგაზრდების შემყურეს, რომლებიც დაარწმუნეს, რომ ევროპა საქართველოა, რომ ევროკავშირი აუცილებლად მიგვიღებს თავის რიგებში, რომ ევროპა ჩვენი სახლია!**

არსებობს ვილე დე ლილ-ადანის ერთი მოთხრობა სახელწოდებით – „იმედით ტანჯვა“. აქ საუბარია ინკვიზიტორების ხელში ჩავარდნილ უბედურ პატიმარზე, რომელსაც ინკვიზიტორები ისეთ გარემოს უქმნიან, თითქოს მას შეუძლია მათგან თავის დაღწევა. და აი, როდესაც იმედით აღვსილ პატიმარს ჰგონია, რომ თავისუფლებისკენ მიმავალი უკანასკნელი დაბრკოლება გადალახა, სწორედ მაშინ გადაეღობება მას წინ დიდი ინკვიზიტორი შეძახილით: **„შვილო ჩემო, შენ გსურდა ჩვენი დატოვება?!“**

მსგავსადვე ეპყრობიან ევროკავშირის მესვეურები საქართველოს და ამ მოპყრობაში, ცინიზმთან ერთად, გაერთიანებულია ენდოთიმურში (შრე, რომელიც მოიცავს შეუცნობელს, აფექტებს, გრძნობებს) გამეფებული სადისტური სურვილები. ევროკავშირში მიღება, მით უმეტეს, „ნატოში“, საქართველოსთვის გამორიცხულია. რატომ?! - იკითხავს „მედასავლეთე“ გულგატეხილი მკითხველი.

შეკითხვას ვუპასუხებდი შემდეგნაირად. აქ პოლიტიკა დიდ როლს თამაშობს, მაგრამ თავი და თავი არა პოლიტიკაშია. უფრო გასაგებად რომ განვმარტო, უნდა შევეხო ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, რომლიდანაც ამოდის ამ სიტყვების ავტორი. საქმე ისაა, რომ დღევანდელი დასავლეთის სახელმწიფო ლიდერებს, რომლებიც არაფრად არ აგდებენ არც რწმენასა და არც ეკლესიას და მათ მიმართ, უკეთეს შემთხვევაში, ინდიფერენტულნი არიან, ადვილად იპყრობენ დემონური ძალები, რომელთა მიზანი სამყაროს მოსპობა და ქაოსის გაბატონებაა. აი რას წერს ბოროტი ძალების არსებობის შესახებ მე-20 საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი და თეოლოგი **კარლ რანერი** გერმანული თეოლოგიური ენციკლოპედიის მეორე ტომში (ჰერდერის გამომცემლობა, ფრაიბურგი 1986):




**„ადამიანის გარეშე მყოფი პიროვნული ბოროტი ძალების, დემონების სამყაროში მათი ქმედებების არსებობა, წარმოადგენს რწმენის ჭეშმარიტებას. ამის შესაბამისად, ეშმაკეული შეპყრობილობის პრინციპული შესაძლებლობა, ყოველ შემთხვევაში, უტყუარ თეოლოგიურ მოძღვრებად უნდა იყოს დახასიათებული. ამასთანავე ყურადსაღებია, რომ შეპყრობილობის ცნება, თავისი განსხვავებით დემონური განცდისგან, საკმაოდ ბუნდოვანია, მხოლოდ შეფარდებითია და გააჩნია ვარიაციების ფართო ველი, რადგან გარეშე ზემოქმედებასაც (მაგ., ნარკოტიკებს) შეუძლია, ადამიანის შინაგანი სამყარო პასუხისმგებლობის გრძნობისგან გაათავისუფლოს. მაგრამ სწორედ წმ. წერილის მიხედვით (მაგ., ლუკა 13, 16; ებრაელთა მიმართ 2, 14; 1 თესალონიკელთა მიმართ 2, 18) დემონების ზემოქმედება მხოლოდ იქ კი არ არის ჩასათვლელი, სადაც შიდასამყაროსეული ემპირიზმის მეთოდებით მომუშავე გონებისათვის „უჩვეულო“ ფენომენები, ნორმალური, ე. ი. ემპირიულად კონტროლირებადი ფენომენების „გვერდით“ არსებობენ. პირიქით, სწორედ „ნორმალური“, ბუნებასა და ისტორიაში მსვლელობათა „ბუნებრივად“ ასახსნელი ჯაჭვი ექვემდებარება ზეადამიანურ და ბოროტებაზე მიმართულ დემონურ ძალთა დინამიკას. ბოროტების თეოლოგია ხაზს გაუსვამდა თვით იმას, რომ ბოროტების ძალების მიზანი უნდა იყოს მიმართული სამყაროს ბუნებრივი არსის უღვთო ავტონომიური სრულყოფისაკენ, მხოლოდ გასანადგურებლისკენ. აქედან გამოსული, შესაძლებელია და უნდა ჩაითვალოს, რომ ავადმყოფობა, სიკვდილი და ადამიანური ყოფიერების თვითგანადგურება გამოხატულებაა დემონურ ძალთა ბატონობის, აგრეთვე სწორედ იქ, სადაც ეს ბუნებრივი მიზეზებიდან მომდინარეობს და ბუნებრივი საშუალებებით შესაძლებელია და უნდა დაიძლიოს... რადიკალური დილემა ეგზორციზმსა (საგანგებო ლოცვებით ეშმაკის განდევნა - ვ. რ.) ან მედიცინას შორის ფენომენის დასაძლევად, თუნდაც იმიტომ არ წამოიჭრება, რომ ყოველმა ქრისტიანმა „ბუნებრივი“ ავადმყოფობის დროსაც ჯანმრთელობისათვის უნდა ილოცოს“.**



კარლ რანერის წერილიდან შედარებით ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველისთვის ისიც შემეხსენებინა, რომ საქართველოში (ასევე მსოფლიოში) პოლიტიკური ცხოვრების „მსვლელობათა „ბუნებრივად“ ასახსნელი ჯაჭვი ექვემდებარება ზეადამიანურ და ბოროტებაზე მიმართულ დემონურ ძალთა დინამიკას“. ამიტომ იყო, რომ ნეტარი ბერი პაისიი მთაწმინდელი (გარდაიცვალა 1994 წელს) დამწუხრებული ასე წერდა:

„მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავი ამ მდგომარეობამდე მივიყვანეთ, ღმერთი არ გვტოვებს ბედის ამარა. ღმერთი ამჟამინდელ სამყაროს ორივე ხელით მფარველობს – როდესაც უწინდელ დროებში მხოლოდ ერთით მფარველობდა“ (ბერი პაისიი მთაწმინდელი, სიტყვები, ტ. 1, მოსკოვი 2004, გვ. 33).

* * *

**ჩვენი** „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (თბილისი, 1989) სიტყვა „სუგესტიას“ (ლათ. **suggestio**) მხოლოდ ცალმხრივად განმარტავს – „პოეტური შთაგონება“, ამ დროს, ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა „ჩაგონების“ აღმნიშვნელია, სადაც რაიმესადმი რწმენის ჩამოყალიბება არა ლოგიკურად არის მოტივირებული, არამედ სხვისი პირდაპირი ზეგავლენის, ზემოქმედების გზით. ამიტომ ნიშნავს ნეტარი ავგუსტინესთვის და სხვა წმ. მამებისთვის ცოდვაზე მოძღვრებასთან კავშირში „**suggestio**“ – ჩაგონება, განსაცდელში შეყვანისა და ცდუნების მნიშვნელობას. ბოროტი ძალის ეს ზემოქმედება ემუქრება როგორც ცალკეული პიროვნებას, ასევე მასებს. განა ბოროტმა არ დაიპყრო ებრაელთა მასა, როდესაც ქრისტეზე შეღაღადა პილატეს: „ჯუარს აცუ ეგე“?!

**ახლა ერთ საიდუმლოს გავუმჟღავნებ აღმა-დაღმა მოჯირითე ახალგაზრდებს. არაფერი სიკეთის მომტანი არ არის საქართველოს ევროკავშირში შესვლა. განა ეშმაკისგან შეპყრობილი მათი მესვეურების განმგებლობაში ყოფნა რაიმე სიკეთეა?! აქამდე რა მოგვიტანეს, გარდა გარყვნილების პროპაგანდის, რუსეთთან ომში ჩაბმის მცდელობის, ეკლესიის შეურაცხყოფის და ა. შ. სწორედ ამიტომ არ სურს ჩვენს მეხუთე კოლონას, რომ გამომზეურდეს, თუ ვისზე და რატომ იხარჯება დასავლეთიდან გამოგზავნილი მილიონები.**



**ჩვენი იმედი ისევ ღვთისმშობელია და ტრადიციული ფასეულობებისადმი ერთგული ქართველობა.**

**ვიქტორ რცხილაძე**

---

## წერილები
### ევროპასა და საქართველოზე

**გამოიცა** ვიქტორ რცხილაძის კიდევ ერთი ნაშრომი სახელწოდებით – „ევროპა და საქართველო“ (თარგმანები, წერილები, ესეები). წიგნის გარეკანს ამშვენებს ლადო გუდიაშვილის სურათი – „მშვენიერება საიდუმლოს გამოცნობისას“ და მასზე გამოსახული მშვენიერი ასული, როგორც თავად ვიქტორ რცხილაძე წერს, მას ახსენებს საქართველოს, ჯოჯოებით გარშემორტყმულს.

მაგრამ რა არის აქ საინტერესო: თვითონ ალბომის თავფურცელზე, საიდანაც ვ. რცხილაძეს აქვს ეს სურათი აღებული, მოთავსებულია ლადო გუდიაშვილის წარწერა, რომელიც ეძღვნება ვიქტორ რცხილაძეს და მხატვარი მას „ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთ ბრწყინვალე მოღვაწედ“ მოიხსენიებს.

კრებული დიდი ინტერესით იკითხება და მოაზროვნე მკითხველისთვის დიდი შენაძენი იქნება.




## ცნობები უცხოეთიდან

### საფრანგეთის სენატმა უცხოურ ჩარევასთან ბრძოლის შესახებ კანონპროექტი მიიღო

**ინიციატივა** მიზნად ისახავს სპეციალური რეესტრის შექმნას, რომელშიც უცხოური ინტერესების ლობისტებს დაარეგისტრირებენ.

სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სენატორი ანიეს კანაიე, რომელმაც საფრანგეთის შიდა საქმეებში მტრულად განწყობილი ქვეყნების ჩარევის მცდელო-



ბებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს კანონი ხელს შეუწყობს ფრანგული დემოკრატიის შენარჩუნებას.

კანონპროექტის განხილვა დისკუსიის ფონზე წარიმართა.

### ტაივანში სრული სამხედრო მობილიზაცია გამოცხადდა

**ჩინეთის** მასშტაბური სამხედრო წვრთნების საპასუხოდ ტაივანმა სრული სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა.

ჩინეთის სამხედრო წვრთნებში, რომლებიც კუნძულიდან რამდენიმე კილომეტრის მოშო-



რებით მიმდინარეობს, საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ძალებია ჩართული.

პეკინმა ტაივანის სანაპიროსთან ახლოს ე.წ. „სადამსჯელო“ წვრთნები მას შემდეგ დაიწყო, რაც სამი დღის წინ ტაივანის ახალმა პრეზიდენტმა ლაი ცინგ დემ მოვალეობის შესრულება ოფიციალურად დაიწყო.

### რიში სუნაკმა პარლამენტი დაითხოვა...

**გაერთიანებულ** სამეფოში საყოველთაო არჩევნები 4 ივლისს გაიმართება.



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რიში სუნაკის თქმით, მან უკვე მიმართა მეფე ჩარლზ მესამეს პარლამენტის დათხოვნის მოწოდებით და მონარქმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

გეგმის მიხედვით, ის 2025 წლის იანვრის მიწურულამდე უნდა გამართულიყო, თუმცა ჯერ კიდევ იანვარში, რიში სუნაკმა აღნიშნა, რომ არჩევნები 2024 წლის მეორე ნახევარში გაიმართებოდა, რაც პირველი ივლისის შემდგომ პერიოდს მოიცავს.

პარლამენტიდან დაუნინგ სტრიტზე დაბრუნებულმა რიში სუნაკმა კი მინისტრთა კაბინეტის წევრები დაიბარა. არჩევნების ნაადრევად გამართვის გადაწყვეტილება მან მინისტრთა კაბინეტთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.

### ნორვეგია, ესპანეთი და ირლანდია პალესტინის დამოუკიდებლობას აღიარებენ!



**ნორვეგია,** ესპანეთი და ირლანდია პალესტინას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებენ. ამის შესახებ ამ ქვეყნების პრემიერ-მინისტრებმა განაცხადეს.

ოფიციალურად ეს გადაწყვეტილება სამივე ქვეყანაში 28 მაისამდე გამოცხადდება.

ისრაელმა ეს ნაბიჯი ნეგატიურად შეაფასა და სამივე ქვეყნიდან ელჩები გაიწვია.

### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის

## განცხადება

**სგშ ანგარიშის საჯარო განხილვა -** სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** გურჯაანის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო

**დაგეგმილი საქმიანობის სგშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 4 ივლისი, 12:00 საათი, ქ. გურჯაანის ტექნოპარკის შენობა (მის.: მერაბ კოსტავას ქუჩა №63)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სგშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირიN150, ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

---

### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის

## განცხადება

**სგშ ანგარიშის საჯარო განხილვა -** სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ **გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში**

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** გურჯაანის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო

**დაგეგმილი საქმიანობის სგშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 4 ივლისი, 12:00 საათი, ქ. გურჯაანის ტექნოპარკის შენობა (მის.: მერაბ კოსტავას ქუჩა №63)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სგშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირიN150, ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

---

## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ, აჭარის ფილიალის მაღალი ძაბვის (35კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 1 ივლისი, 16:00 საათი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **17 ივლისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 15 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

---

## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველი აუქციონს ომარ ჩოხელის და სოფიო ჩოხელის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრე:** ომარ ჩოხელი (პ/ნ 36001045758), საგარეჯო, ს. გორანა; სოფიო ჩოხელი (პ/ნ 36401055335), საგარეჯო, ს. გორანა;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

საგარეჯო, ს. კოჭბაანი, გორანა (საკადასტრო კოდი: 55.17.53.000.028)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 42861.35 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 10 ივნისი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98739324;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 987393

6. **მოვალე:** ომარ ჩოხელი (პ/ნ 36001045758), საგარეჯო, ს. გორანა;
ბექა ჩოხელი (პ/ნ 36001052226), საგარეჯო, ს. გორანა
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98739324; ლოტის ნომერი: 987393).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 10 ივნისის 12:00 საათამდე.

---

## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა – **რუსთავის მუნიციპალიტეტში სს „რუსთავოილის" 100 მ3 ზე მეტი მოცულობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თხევადი აირის მიწისზედა საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 7 ივნისი, 13:00 საათი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: კოსტავას ქ. N20)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 13 ივნისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 16 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

---

## განცხადება

კოოპერატივი "რკ აგრო-ლია 2014" იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას - დღის წესრიგი: კოოპერატივის ახალი წესდების შეთანხმება.

კრება ჩატარდება 2024წლის 14 ივნისს 10სთ-ზე
მისამართზე: ზუგდიდი, სოფ. ინგირი, თამარ მეფის ქ.16

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლევან ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გურჯაანი, ს. ჭანდარი (საკადასტრო კოდი: 51.11.58.222)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19161.58 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 10 ივნისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98738924;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 987389

**6. მოვალე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56;

დავით ჯაფარიძე (პ/ნ 13001034044), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98738924; ლოტის ნომერი: 987389).**

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 10 ივნისის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნათელა კანჭიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12 (საკადასტრო კოდი: 55.12.75.000.124)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16824.35 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 10 ივნისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98739124;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 987391

**6. მოვალე:** ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12;

ივანე ბუთიაშვილი (პ/ნ 45001032659), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98739124; ლოტის ნომერი: 987391).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 10 ივნისის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ზახიდა ნასიბოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზახიდა ნასიბოვა (პ/ნ 10001028027), ბოლნისი, დ. კაზრეთი, კორპუსი 97/3, სართული 9, ბინა 95

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ბოლნისი, დ. კაზრეთი, კორპუსი 97/3, სართული 9, ბინა 95 (საკადასტრო კოდი: 80.14.64.037.01.095)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20918.68 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 10 ივნისი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98739024;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 987390

**6. მოვალე:** ზახიდა ნასიბოვა (პ/ნ 10001028027), ბოლნისი, დ. კაზრეთი, კორპ. 97/3, სართ. 9, ბინა 95;

ელსავარ ზეინალოვი (პ/ნ 10001013870), ბოლნისი, ს. ჯავშანიანი, პირველი ქუჩა №2;
სონა მამედოვა (პ/ნ 10001028027), ბოლნისი, დ. კაზრეთი.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98739024; ლოტის ნომერი: 987390).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 10 ივნისის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველი აუქციონს ზურაბ ნონიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზურაბ ნონიაშვილი (პ/ნ 24001010219), კასპი, 26 მაისის ქ. №7

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

კასპი, ცემ. ქარხნის თიხის კარიერთან (საკადასტრო კოდი: 67.01.52.017)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 42287.83 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 10 ივნისი, 14:45 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP98739224;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 987392

**6. მოვალე:** ზურაბ ნონიაშვილი (პ/ნ 24001010219), კასპი, 26 მაისის ქ. №7.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98739224; ლოტის ნომერი: 987392).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 10 ივნისის 12:00 საათამდე.

◎ რჩეულნი

# ისინი ბოლომდე იბრძოლებენ

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავკაცმა ვილი სანიოლმა აღარ დაუცადა ბოლო ვადას – 7 ივნისს, წერტილი დაუსვა სანერვიულო მოლოდინს და კოლეგათაგან ერთ-ერთმა პირველმა დაასახელა იმ 26 რჩეულის ვინაობა, ვინც გერმანიაში ჩვენთვის ისტორიულ სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.**

აღსანიშნავია, რომ იგი ძირითადად იმ ბირთვს დაეყრდნო, ვინც მარტში გადამწყვეტ პლეი-ოფებში იცავდა სამშობლოს სპორტულ ღირსებას ლუქსემბურგისა და საბერძნეთის გუნდების წინააღმდეგ თბილისში გამართულ მატჩებში, თუმცა არის რამდენიმე სიახლეც.

კერძოდ, განაცხადში ვერ მოხვდნენ **აზაროვი** და **საზონოვი,** გამოძახებულნი კი არიან **გველესიანი, ტაბიძე** და **ლობჟანიძე,** რომლებიც გარკვეული პაუზის შემდეგ უბრუნდებიან ნაკრებს.

მოხდა განსაკუთრებული ფაქტიც – 38 წლის დამსახურებულმა კაპიტანმა **კანკავამ** თავად თქვა უარი მიწვევაზე და მის ნაცვლად ნდობა უნიჭიერეს ჭაბუკს სიგუას გამოუცხადეს.

**საქართველოს ნაკრები**

**მეკარეები** – მამარდაშვილი, ლორია, გუგეშაშვილი;

**დაცვა** – კაკაბაძე, კვირკველია, კაშია, დვალი, შენგელია, გველესიანი, ლოჩოშვილი, გოჩოლეიშვილი, ტაბიძე;

**ნახევარდაცვა** – ქოჩორაშვილი, კიტეიშვილი, ჩაკვეტაძე, კვეკვესკირი, სიგუა, ალთუნაშვილი, ლობჟანიძე, წიტაიშვილი, მექვაბიშვილი;

**თავდასხმა** – კვარაცხელია, მიქაუტაძე, დავითაშვილი, ზივზივაძე, ქვილითაია.

რადგან გერმანული ფორუმი ვახსენეთ, დავძენთ, რომ იქაური ბუნდესლიგის ახალმა ჩემპიონმა ლევერკუზენის ბაიერმა დუბლი თასის ფინალში კაიზერს ლაუტერნის ძლევით შეასრულა – 1:0, მანამდე კი სარეკორდო 51-მატჩიანი წაუგებელი სერია დუბლინში შეწყვიტა, სადაც ევროპის ლიგის ფინალში ბერგამოს ატალანტასთან უშანსოდ შერცხვა – 0:3. ეს იტალიის თასის ერთადერთხელ მფლობელის პირველი საერთაშორისო ტიტულია, მისმა მეტოქემ კი უეფას თასის გათამაშებაში უკვე შორეულ 1988 წელს გაიმარჯვა.




◎ ძიუდო

# ზედიზედ მეოთხედ



**აბუ დაბიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) დამთავრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ქართველმა ფალავნებმა (მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი) ზედიზედ მეოთხე მსოფლიოზე მოიპოვეს 4 მედალი და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში იაპონელთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს, გუნდურ ტურნირში კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.**

პირად პირველობაში, როგორც ვწერდით, საქართველოს ნაკრებს პირველი ოქროს ჯილდო 21 წლის **გიორგი სარდალაშვილმა** მოუტანა. ქართული ძიუდოს ისტორიაში იგი მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონია. საგულისხმოა, რომ სარდალაშვილს შარშანდელ მსოფლიოზე ბრინჯაო ხვდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ მესამედ ავიდა **ტატო გრიგალაშვილი** (2021 წელს ვერცხლს დასჯერდა).

**გურამ თუშიშვილმა** (+100 კგ) მსოფლიოს ჩემპიონატებზე მესამე მედალი მოიპოვა: 2018 წლის „ოქროსა“ და 2022 წლის „ბრინჯაოს“ ამჯერად ვერცხლის მედალი შემატა: აბუ დაბიში ჯერ ალჟირელი მოჰამედ ელ მეჰდი ლილი და თურქი იბრაჰიმ თათაროღლუ, შემდეგ კი რუსი ტამერლან ბაშაევი და უზბეკი ალიშერ იუსუპოვი დაამარცხა. ქართველმა ფალავანმა ფინალი სამხრეთკორეელ მიონიონ კიმთან წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ვაჟა მარგველაშვილი** რუსი მურად ჩოპანოვისა და უზბეკი სარდორ ნურილაევის ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში იაპონელ ტაკეში ტაკეოკასთან ვერაფერს გახდა. დამამშვიდებელში მარგველაშვილმა ჯერ მონღოლი ერხემბაიარ ბატოგტოხი, მერე კი იტალიელი მატეო პირასი დაჯაბნა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედალი ზედიზედ მეორედ დაიმსახურა.

ჩემპიონატის ბოლო დღეს ქართველმა ძიუდოისტებმა (გურამ თუშიშვილი, ეთერ ასკილაშვილი, ლუკა ბაბუციძე, სოფიო სომხიშვილი, გიორგი ჩიხელიძე, ნინო ლოლაძე) კიდევ ერთ „ბრინჯაოს“ გუნდურ ტურნირში გამოჰკრეს ხელი. ჩვენები პირველ წრეში თავისუფალი იყვნენ. მეორეში უნგრელებს აჯობეს – 4:1, ნახევარფინალი კი ფრანგებთან წააგეს – 2:4. ბრინჯაოს მედლისთვის ჩვენები დისკვალიფიცირებული კორეელების ნაცვლად გერმანელებს შეხვდნენ, 4:1 გაიმარჯვეს და ზედიზედ მეორედ დაიკავეს მესამე ადგილი.

**გივი გაგუა**

◎ დებიუტი

# რაგბი ყველასია!

**საქართველოს„ სპეციალური ოლიმპიადის გუნდი თაგ-რაგბიში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში საერთაშორისო ტურნირს ითამაშებს:**

სპეციალური ოლიმპიადის თაგ-რაგბის გუნდი დაახლოებით ორი თვის წინ შეიქმნა. ეს არის შერეული გუნდი, რომელშიც შშმ პირებთან ერთად მოყვარული მორაგბეებიც თამაშობენ.

**„საქართველოს სპეციალური ოლიმპიადის გაერთიანებული (Unified) ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება. ჩვენი მოძრაობის მიზანია, რომ სპორტის მეშვეობით მოხდეს სპეციალური საჭიროების მქონე და შშმ პირების ინტეგრირება საზოგადოებაში. პარალელურად, 1991 წლიდან დღემდე, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვმონაწილეობთ საერთაშორისო ტურნირებში და ამ პერიოდში 67 ოქროს მედალი გვაქვს მოპოვებული“ – ამბობს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლაშა გოცირელი.**

2019 წელს მსოფლიოს სპეციალური ოლიმპიადის ორგანიზაციამ თავის რიგებში უკონტაქტო „თაგ-რაგბი“ მიიღო, რამაც გოცირელს საქართველოში ესოდენ წარმატებული და პოპულარული სპორტის სახეობის, რაგბის მიმართ ინტერესი გაუღრმავა და წლევანდელი ტურნირისთვის გუნდის შესაკრავად საქართველოს რაგბის კავშირს დაუკავშირდა.

**„ლაშა გოცირელმა გვითხრა, რომ საფრანგეთში ტარდებოდა სპეციალური ოლიმპიადის გაერთიანებული ტურნირი თაგ-რაგბიში და იმისათვის, რომ საქართველო იქ რაგბითაც ყოფილიყო წარმოდგენილი, მხარდაჭერა ჭირდებოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით ჩავერთეთ ამ საქმეში, გამოვყავით სავარჯიშო სივრცე, დავეხმარეთ ეკიპირებითა და საჭირო აღჭურვილობით, მწვრთნელებით და შშმ პირებმა მოყვარულ მორაგბეებთან ერთად დაიწყეს ვარჯიში“ – აღნიშნავს რაგბის კავშირის მოთამაშეთა კეთილდღეობის ადმინისტრატორი რობი კოტოვი:**

**„ორი თვის წინათ სპეციალური ოლიმპიადის თაგ-რაგბიში გვქონდა საჩვენებელი თამაში, სადაც გუნდის წარდგენა მოხდა. ღონისძიებას, რომელიც სპორტის სხვა სახეობებსაც მოიცავდა, ესწრებოდა აშშ-ს ელჩიც, რომელსაც ბორჯღალოსანთა ხელმოწერილი კვართიც გადავეცით. ამ დღეებში მივემგზავრებით საფრანგეთში, სადაც „რასინგ 92“-ის მოედანზე გაიმართება საერთაშორისო ტურნირი და იქ საქართველოც იქნება წარმოდგენილი. ეს არის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ რაგბი ყველას სპორტია“.**

საფრანგეთში 9 მოთამაშე მიემგზავრება, საიდანაც 5 შშმ პირია, 4 კი მოყვარული მორაგბე. ტურნირში 6 ქვეყნის 16 გუნდი ითამაშებს.

თბილისის „ლოკომოტივის“ ბაზაზე ჩვენმა გუნდმა გამგზავრების წინ ბოლო ვარჯიში გამართა და „არაგველებისა“ და „დევების“ სამოყვარულო გუნდებთან სპარინგები გამართა. ვარჯიშს ვეტერანი ბორჯღალოსნები – **მამუკა გორგოძე, ლაშა ხმალაძე** და **ნონო ანდღულაძე** ესწრებოდნენ, რომლებმაც მოთამაშეებთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და მათ წარმატებები უსურვეს.

**„რაგბის კავშირთან ერთად პირველი ნაბიჯი 2 თვის წინათ გადავდგით და მას შემდეგ ყველა მხარში გვიდგას. ისინი თავად გამოთქვამენ ჩართულობის სურვილს, რისთვისაც ყველა მათგანს დიდ მადლობას ვუხდი. ბოლო ვარჯიშმა დაგვანახა, რომ ინტეგრირების პროცესი კარგად მიდის და დარწმუნებული ვარ მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება. ეს ურთიერთობა ანგრევს სტერეოტიპებს. ფაქტია, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და ამ გზას მომავალშიც გავაგრძელებთ. გვაქვს იმედი, რომ უახლოეს მომავალში მსგავს საერთაშორისო ტურნირს საქართველოშიც ჩავატარებთ“** – განაცხადა გოცირელმა.




ჩვენს გუნდს **სანდრო ლომთაძე** წვრთნის, რომელიც გუნდის მომზადებით კმაყოფილია:

**„რეალურად, ეს იყო ჩვენი მეექვსე ვარჯიში. ამ ბიჭების უმეტესობამ რაგბის ბურთი ხელში პირველად 6 ვარჯიშის წინ დაიჭირა, დღეს კი გამოჩნდა, რომ ბევრი რამ უკვე კარგად გამოსდით. ჩვენთვის მთავარია, რომ ეს ადამიანები ვაზიაროთ რაგბის ღირებულებებს და მოხდეს ინტეგრირება. პირველი ეტაპი წარმატებით გადავლახეთ და, იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ მეტი წინსვლა გვექნება“.**

◎ ლეგიონერი

# კონდიციები აკრიფა

**იტალიის სერია – ა-ს პლეი-ოფში ზედიზედ 2 გამარჯვება მოიპოვა ვირტუსმა, რომელიც რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდია, ბოლონიელთა წარმატებებში კი ჩვეული სოლიდური წვლილი თორნიკე შენგელიამ შეიტანა.**

ჭვაროსანთა კაპიტანმა განსაკუთრებით ტორტონასთან მეოთხედფინალური სერიის გადამწყვეტ საშინაო შეხვედრაში გაიბრწყინა 23 წუთში მოგროვებული 22 ქულით (92:63, 3:2), პირველ ნახევარფინალურ მატჩში ვენეციასთან კი, რომელიც ასევე საკუთარ დარბაზში გამართა, მხოლოდ 11 ქულა იკმარა 30 წუთში, მაგრამ სამაგიეროდ იმ საღამოს უბერებელმა მარკო ბელინელიმ გაიხსენა ახალგაზრდობა – 23 ქულა (103:89 დამატებით დროში, 1:0). შეგახსენებთ, რომ მარკო პირველი ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, თორნიკემ კი მე-3 ადგილი დაიკავა.




◎ ჭიდაობა

# ხუთი მედლით ბაქოდან

**2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“ – ასეთი ნადავლით დაასრულეს ასპარეზობა ქართველმა მოჭიდავეებმა აზერბაიჯანის დედაქალქ ბაქოში, რომელმაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლა. ჩვენებმა საბოლოოდ 134 ქულას მოუყარეს თავი და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს – მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩნენ.**

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა ოზურგეთელი **გიორგი თოხაძე.** მან ზედიზედ დაამარცხა უკრაინელი ივან სტეფანსკი (13:4), აზერბაიჯანელი რაშად მამადოვი (8:0), თურქი ემრე მუთლუ (9:0) და პირველი ადგილი დაიკავა.

თანაგუნდელს მხარი აუბა სენაკელმა **გიორგი ჩხიკვაძემ** (72 კგ), რომელმაც ევროპის ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. ფინალში მან წმინდად დაამარცხა (8:0) ლიეტუველი ვილიუს სავიცკასი. მსგავს წარმატებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა ხულოელ **აჩიკო ბოლქვაძეს** (87 კგ). ზედიზედ სამ მეტოქესთან მოპოვებული წარმატების შემდეგ მან ფინალში რუს აუეს გონიბოვთან 0:7 წააგო და მეორე ადგილზე გავიდა.

ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს საქართველოს ნაკრების წევრებმა – ბათუმელმა **დიეგო ჩხიკვაძემ** (67 კგ) და გარდაბნელმა **გიორგი ცოფურაშვილმა** (130 კგ), რომლებმაც ბოლო ორთაბრძოლები, შესაბამისად, ბულგარელ დიმიტარ გეორგიევსა (9:1) და რუს დმიტრი ბაზორიკოს (9:1) მოუგეს.

**ლექსო ცინცაძე**

# საქვეყნოდ განთქმული მონადირე დაჩი...

**საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა 30 აპრილს წყალტუბოში, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში მოწყობილი ლიტერატურულ-შემეცნებითი ექსკურსიით**



სტუმრად ოტია იოსელიანის სამფლობელოში

**გადავწყვიტეთ. ექსკურსიას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა – იგი „დაჩის ზღაპრების“ გამოცემის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა და გიდობას თვით ამ ნაწარმოების მთავარი გმირის პროტოტიპი – დაჩი ოტიას ძე იოსელიანი გვიწევდა.**

... მწერლის საუფლო კოხტად გადმოხურული და ქვის ჩუქურთმებიან სვეტებზე დაკიდებული ულამაზესი ჭიშკრის შეღებისთანავე იწყება. მწვანეში ჩაფლული ეზოს თავში ოტია იოსელიანის საფლავია, რომლის ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტა მთლიანად დაჩის ეკუთვნის. პირდაპირ აღმართულა ორსართულიანი, დიდი სახლი – იმერული ეთნოგრაფიის საუცხოო ნიმუში. ხის რიკულებიან, მოჩუქურთმებულ აივნებსა და ბოძებს ღრმა მცოდნე. ამოაქვს და ამოაქვს მეხსიერების „სკივრიდან“ ჩვენთვის ნაირფერი მოგონებები, უმნიშვნელოვანესი ფაქტები და თარიღები, გვარები და სახელები... 1986 წლიდან, ანუ იმ დროიდან, მწერალმა რომ წყალტუბოში, დაუსახლებელ ადგილზე ამ სახლის აშენება დაიწყო და ხელოვნების ქუჩის ნომერ პირველში ნამდვილი კულტურის ცენტრი დააფუძნა, აქ ბევრი რამ მოხდა. გარდა ბატონი ოტიას პირადი ნივთების, მისი ჩანაწერების, ნახატების, პირველი წიგნების, მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ნაწარმოებებისა, აქ თვალს იტაცებს თავად დაჩისა და მისი ვაჟის – „პატარა ოტიას“ მიერ ძალზე საინტერესოდ, გონივრულად მოფიქრებული და გადაწყვეტილი კოხტად აყოლილი ვაზი შვენის, თავად სახლში კი იმდენი განსაკუთრებული ნივთი და ექსპონატია, მათგან რომლის ისტორია უფრო საინტერესოა, ვერც გადაწყვეტ. ამაში მთავარი „დამნაშავე“ დაჩია – ბრწყინვალე მთხრობელი და თითოეული დეტალის უაღრესად „ოტიას მარანი“ – თავისი საოცარი ინტერიერით, ეთნოგრაფიული ატრიბუტიკით, სხვადასხვა დანიშნულების ექსპონატებით. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა სამხრეთ კედელზე ღვინით (ოცხანური საფერეთი) დახატული უჩვეულო კომპოზიცია (იდეის ავტორი – პატარა ოტია, მხატვარი – დაჩი იოსელიანი), ასევე ბზისაგან ნაკეთები, ულამაზეს კომპოზიციად ჩაფიქრებული, უზარმაზარი ჭაღი (ავტორი – დაჩი იოსელიანი). თავისი კვალი დაუმჩნევია აქაურობისთვის ახალგაზრდა რძალსაც – პატარა ოტიას მეუღლეს,ნუცა ცისკარიშვილს. სოციალურ ქსელებში კარგად ცნობილ და პოპულარულ გოგონას ოქროს ხელები და ნატიფი გემოვნება ჰქონია. დიდხანს შევცქეროდით დიდი ოტიას ნახელავი ბუხრის თავზე დაკიდებულ გრძელ ჯაჭვის პერანგსა და ზუჩს, რომელიც სწორედ ნუცას მოუქსოვია ისე ოსტატურად. იქვე მისი შეგირდების – საკვირაო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებიც იდო.

დაჩი იოსელიანმა შეკითხვებსაც უპასუხა და „დაჩის ზღაპრებთან“ დაკავშირებულ საკუთარ ისტორიაზეც გვიამბო...

ჩვენს იქ ყოფნისას უცხოელი ტურისტების რამდენიმე ჯგუფიც მოვიდა. თურმე ხშირად სტუმრობენ სახლ-მუზეუმს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პედაგოგები, მოსწავლეები, სტუდენტები, უბრალოდ, ლიტერატურის მოყვარული ადამიანებიც.

ჩვენი ექსკურსია კი, „ვეფხვის ძუძუნაწოვ და ლომის დამმორჩილებელ, საქვეყნოდ განთქმულ მონადირე დაჩის“, მის საიუბილეო თარიღს რომ მიეძღვნა, პროტოტიპ დაჩისთან გულითადი დამშვიდობებით და მადლიერების გამომხატველი ემოციებით დასრულდა.

**ნანული ცხვედიანი**
**წყალტუბო – ქუთაისი**

## სამძიმარი

### სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ფსიქოლოგი, პროფესორი

**ნათელა იმედაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

### ხსოვნა

ნანა ჭიჭინაძე და მარიკა პოპიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ნათელა ვაჩნაძეს და მის ოჯახს ბიძაშვილის, აკადემიკოს

**გულიკო ჩაფიძის**

გარდაცვალების გამო.

## კრიმინალი




### გოგოს გამტაცებლებს 10-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ!

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ცოლად მოყვანის მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ორი თანამშრომელი დააკავა. ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ მოქალაქე მ.კ.-მ ცოლად მოყვანის მიზნით 23 წლის გოგოს მოტაცება განიზრახა. 2024 წლის 25 მაისს, დაბა მესტიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, მან სასაზღვრო პოლიციის სამმართველოს 2 ინსპექტორის დახმარებით, დაზარალებული ქალი იძულებით მანქანაში ჩასვა და გაიტაცა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, შეტყობინების შემდეგ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა. გამოიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, მოპოვებული იქნა გატაცების ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რის შემდეგაც 2024 წლის 25 მაისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დაკავებულ იქნა სასაზღვრო პოლიციის ორივე თანამშრომელი, ხოლო მოქალაქე მ.კ. დაკავებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## სტიქია გვიტევს!

**მოსულმა** უხვმა ნალექმა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მასშტაბით პრობლემები შექმნა. სტიქიურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად დააზარალა წეროვანის დევნილთა დასახლება, თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულები. ასევე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლები.

რამდენიმედღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად, რეგიონის სხვადასხვა ლოკაციაზე დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, შიდა საუბნო გზები, დაზიანდა ხიდ-ბოგირები, ელექტრო გადამცემი ხაზები, ასევე დაიტბორა საკარმიდამო ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რამდენიმე სოფელს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდებაც.

უამინდობის გამო შექმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტების მასშტაბით შესაბამისი ღონისძიებები ტარდება. პარალელურად, შექმნილია სტიქიისგან მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიაც.

### სომხეთში წყალდიდობის გამო საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა დაკეტილია!

**სომხეთში** წყალდიდობაა, რის გამოც, საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა ორივე მიმართულებით დაკეტილია. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ლორეს ოლქში მდინარე დებედა ადიდდა.

მედიის ცნობით, წყალდიდობას 1 ადამიანი ემსხვერპლა. დატბორილია საცხოვრებელი სახლები, დაზიანდა ხიდები და გზები, დაწყებულია მოსახლეობის ევაკუაციაც.

წყალდიდობა უხვმა ნალექმა გამოიწვია. სტიქიის გამო, ქვეყნის ჩრდილოეთით შეჩერებულია ერევანი-თბილისი-ერევნის მიმართულებით მატარებლის მოძრაობაც.

### „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ გვაფრთხილებს!

**„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“** განცხადებით, მიმდინარე წლის 27 მაისიდან მოსალოდნელია მდინარე არაგვის კალაპოტში წყლის ნაკადის მატება, რაც გამოწვეულია მაისის მეორე ნახევარში მცხეთა-მთიანეთის რაიონში უხვი ნალექითა და შესაბამისად ჟინვალის წყალსაცავში წყლის უხვი შემოდინებით.

კომპანია მოქალაქეებს არაგვის კალაპოტთან გადაადგილებისას სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებს.

„ბუნებრივ უხვ ნალექთან ერთად მდინარის კალაპოტს შეუერთდება ჟინვალის წყალსაცავიდან გადმოდინებული ჭარბი წყალი. წყალდიდობის დროს კაშხლის მდგრადობისა და უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, ჟინვალის წყალსაცავის საექსპლუატაციო პირობები მკაცრად კონტროლდება „წყალსაცავის ექსპლუატაციის ინსტრუქციის“ დოკუმენტით. გთხოვთ, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოთ აღნიშნულ პერიოდში მდინარე არაგვის კალაპოტთან გადაადგილებისას“!



### კახეთი

**ადიდებულმა** მდინარე ალაზანმა ახმეტის მუნიციპალიტეტში დამცავი ჯებირები გაარღვია

არსებული ინფორმაციით, მოვარდნილმა წყალმა სოფელ ქვემო ალვანის შესასვლელი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და გზების ნაწილი დატბორა, სოფელ ქვემო ალვანში დატბორილია მეცხოველეობის ფერმა და მისი მიმდებარე ტერიტორიაც.

ხანგრძლივი წვიმების შედეგად ადიდებულია გურჯაანში მდებარე ნავთის ხევიც. ხევმა წყალი ვერ გაატარა, ჯებირებიდან გადმოვიდა და გურჯაანი-ლაგოდეხის დამაკავშირებელ გზაზე მიედინება.

თელავში, თურდოს ხევის ადიდების შედეგად გაზსადენი დაზიანდა.

რამდენიმედღიანმა გადაუღებელმა წვიმებმა თელავში, თურდოს ხევის ადიდება გამოიწვია.

შედეგად თელავგაზის გაზსადენი დაზიანდა, რის გამოც გაზის მიწოდება შეწყვეტილი ჰქონდა თელავის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს, კერძოდ – სოფელ რუისპირს, იყალთოს და სოფელ ყარაჯალას.

**თბილისში მდინარე ვერეც ადიდდა. საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ადიდებულ მდინარეში ჩარჩენილი 1 მოქალაქე და 1 მანქანა უვნებლად ამოიყვანეს.**



### გლდანის მე-8 დაწესებულებაში პატიმარმა 5 ცალი „კუსაჩკა“ გადაყლაპა

**გლდანის** მე-8 დაწესებულებაში მყოფმა მოშიმშილე მსჯავრდებულმა მიხეილ თურქაძემ პროტესტის ნიშნად მეტალის 5 ცალი „კუსაჩკა“ გადაყლაპა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მსჯავრდებულის მეუღლემ, სტელა ეფიმოვამ განუცხადა.

როგორც ეფიმოვა აღნიშნავს, მიხეილ თურქაძე სასჯელს მეზობლის მკვლელობის მცდელობისთვის იხდის და თავისუფლების აღკვეთა 17 წლით აქვს მისჯილი. პატიმარი დანაშაულს არ აღიარებს და ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლას ითხოვს.

დაკავებულის ადვოკატი, ზურაბ როსტიაშვილი განმარტავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამამართლებელ განაჩენს ითხოვს, ვინაიდან თურქაძის თქმით, მას დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღია.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ კომენტარს ვერ გააკეთებდნენ, ვინაიდან ინფორმაცია პერსონალურია.

# 85 წლის მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში განახლების პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდა



**თბილისის მუზეუმების გაერთიანების მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში რეაბილიტაცია-რესტავრაციის პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდა. პროექტს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მოადგილეებთან ირაკლი ხენდელიანთან და ანდრია ბასილაიასთან ერთად გაეცნო.**

კახა კალაძის განცხადებით, რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარე წლის ოქტომბრისთვის დასრულდება.

„მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში იყო ძალიან მძიმე მდგომარეობა. პროექტის ფარგლებში სახლს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სარდაფი, რომელიც მთლიანად მიწით იყო ამოვსებული, გაიწმინდა და ძალიან დიდი სივრცე გამოთავისუფლდა. ასევე, აქ იყო კერძო საკუთრება, რომლის გამოსყიდვა მოხდა. ეზოც კეთილმოეწყობა და ოქტომბერში სამუშაოები მთლიანად დამთავრებული იქნება. ძალიან მიხარია, რომ ასეთი პროექტები ხორციელდება ჩვენს დედაქალაქში", – განაცხადა კახა კალაძემ.

ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ თბილისის სახლ-მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელი ნინო სანადირაძე და თბილისის საკრებულოს წევრი ზურაბ აბაშიძე.

**მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი 1991 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას, ინიციატივითა და თაოსნობით დაარსდა. მუზეუმმა ბინა დაარსებისთანავე დაიდო ზანდუკელის ქუჩის N1-ში, მემორიალურ სახლში, სადაც 1939 წელს დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.**

# თბილისი ყველაზე მიმზიდველი ქალაქია სტუდენტებისთვის

**საქართველოს დედაქალაქი საერთაშორისო სტუდენტებისთვის ყველაზე მიმზიდველ ტურისტულ ლოკაციად დასახელდა – მსოფლიოს უდიდესი სტუდენტური ქსელის, UNiDAYS-ის კვლევის მიხედვით, თბილისი ყველაზე მიმზიდველი დესტინაციაა, სადაც სტუდენტები 2024 წლის არდადეგებზე იმოგზაურებდნენ.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილის თამარ ყორიაულის შეფასებით, სასიხარულოა, რომ თბილისი, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო მედიისა და პლატფორმების მიერ არაერთხელ დასახელდა, როგორც მიმზიდველი ტურისტული მიმართულება, საერთაშორისო სტუდენტებს შორის მეტად პოპულარული ხდება.

„ვაპირებთ, რომ მომავალშიც გავაგრძელოთ მარკეტინგული კამპანიები და სხვადასხვა აქტივობები იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ ქვეყანაში" – აღნიშნა თამარ ყორიაულმა.

UNiDAYS-ის 2024 წლის სტუდენტების მოგზაურობის ინდექსი, სადაც თბილისმა პირველი ადგილი დაიკავა, ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: განთავსების ფასები, ტურისტული ატრაქციები, ჯგუფური აქტივობები, უსაფრთხოების რეიტინგი, კვების საშუალო ღირებულება და სხვა.






# „ბავშვები ქართულ მხატვრობაში"
## სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გამოფენას უმასპინძლებს

**28 მაისს სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული საბავშვო თემაზე შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების რეტროსპექტული გამოფენა – „ბავშვები ქართულ მხატვრობაში" გაიხსნება.**




ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, მთელ მსოფლიოში დამკვიდრებული ტრადიციის კვალად, საქართველოში მოღვაწე ქართველმა და არაქართველმა მხატვრებმაც ბავშვთა სახეების გამორჩეული გალერეა შექმნეს. მათი ნახატების უმრავლესობა სამუზეუმო ფასეულობაა, თუმცა მათ საზოგადოება პირველად იხილავს.

სახვით ხელოვნებაში ბავშვებისა და ბავშვობის უნიკალური ფენომენის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების პროგრესის წარმოჩენაა ბავშვთა საერთაშორისო ფონდის ინიციატივით მომზადებული ამ გამოფენის კონცეფცია. ეს არის შეხსენება, რომ ბავშვი სამყაროს მარადიულობის სიმბოლოა და უფროსი თაობის უპირველესი მოვალეობაა, მას უსაფრთხო გარემო შეუქმნას.

გამოფენის კურატორები არიან: ირინე აბესაძე, მარიამ დვალი; ორგანიზატორი – ბავშვთა საერთაშორისო ფონდი.

გამოფენა 28 მაისიდან 23 სექტემბრამდე გასტანს.

# პუტინი ამერიკული ქონების კონფისკაციას იწყებს

**რუსეთში ამერიკული ქონების კონფისკაციას იწყებენ. ვლადიმერ პუტინის განკარგულებით, სპეციალური კომისია ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული აქტივების აღმოჩენის და აღწერის პროცესს წარმართავს, შემდგომი გაყიდვის მიზნით.**

ამერიკის მოქალაქეების კუთვნილ ფასიან ქაღალდებს, უძრავ და მოძრავ ქონებას მოსკოვი სანქციებისგან მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად გამოიყენებს. კრემლის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება ამერიკისთვის საპასუხო ზომაა. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, შტატებმა რუსი ოლიგარქების კუთვნილი 330 მილიარდი დოლარის აქტივები გაყინა.



# ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტი ოზურგეთში

**ოზურგეთს ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჰყავს – ევრო ხუთის სტანდარტის 8 ახალი ავტობუსი 21 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.**

ISUZU-ს მარკის თანამედროვე ავტობუსების შეძენა ოზურგეთისთვის საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (ფილუმე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7246; ევრო - 2.9540;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4660;
100 რუბლი - 3.0347; თურქული ლირა - 0.0845;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6015;
1000 სომხური დრამი - 7.0323.

**ამინდი 27 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +26 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე +26 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge